პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეოთხე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. წლის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩერვონცებით.

№ 11 (864) კვირა, 13 იანვარი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 12 (864)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

— მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირი დააკმაყოფილებს პურზე მსოფლიო მოთხოვნილების 80 პროცენტს.

საბჭოთა პურმა ევროპის მრავალი ბაზრებიდან განდევნა ამერიკის პური.

— საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ხელშეკრულება ავღანისტანთან.

— პოლონეთის [illegible] დაინიშნა ვიშნინსკი.

— კორეაში და კუნძულ ფორმოზაში ძლიერდება მოძრაობა იაპონიის წინააღმდეგ.

— დანიაში გაიმართა ფაშისტების დამფუძნებელი ყრილობა

დღევანდელი გაზეთის №-რი შეიცავს 8 გვერდს

რაიონული კომიტეტების ხელახალი არჩევნებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ყველა უჯრედებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

გაუკეთა რა ჯამი შინაპარტიული მუშური დემოკრატიის შესახებ ჩატარებულ დისკუსიას საქართველოს კომპარტიის ტფილისის, კომიტეტმა დაადგინა, უჯრედების მდივნების და ბიუროების ხელახალი არჩევნების შემდეგ, მოახდინოს ყველა რაიონული კომიტეტების ხელახალი არჩევნები, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი არჩევნები სულ მცირე ხნის წინათ მოხდა.

ხელახალი არჩევნები, ტფილისის კომიტეტის აზრით, შემდეგი წესით უნდა მოხდეს:

1. რაიონული კომიტეტის პლენუმი უჯრედის ბიუროსთან ერთად იმუშავებს რაიკომის სანიმუშო სიას.

2) ეს სია იგზავნება განსახილველად რაიონის ყველა უჯრედებში. თითეული უჯრედი, იხილავს რა დეტალურად თითეულ კანდიდატურას, ხსნის ამა თუ იმ პირის კანდიდატურას და უმატებს თავის კანდიდატებს, თუ უჯრედი ამას საჭიროდ სთვლის.

3. შემდეგ დასრულებული სია (უჯრედების მუშაობის შედეგი) გადადის საერთო რაიონულ კრებებზე, სადაც პერსონალურად ეძლევა ხმა თითეულ კანდიდატურას.

ხელახალი არჩევნები უნდა დასრულდეს თებერვლის დასაწყისში.

კომუნისტური სალამით.

ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის სამდივნო.

გამანადგურებელი ფაქტები

ჩვენს გაზეთში იბეჭდება მენშევიკ ხმალაძის წერილები.

ყოველი მუშა და გლეხი, ყოველი მოქალაქე, რომელიც მოწადინებულია გაიგოს მენშევიკ ცეკისტების „მოღვაწეობა", უნდა გაეცნოს ამ წერილებს, რომელნიც შეიცავენ მათი გამანადგურებელ მამხილებელ მასალას.

ჩვენ ხშირად გვიწერია მენშევიკების მოღალატეობის შესახებ, გამოგვიქვეყნებია მრავალი ფაქტები, რომელნიც ამტკიცებდენ მათ კავშირს ანტანტასთან და საერთოდ იმპერიალისტურ ქვეყნებთან, საიდანაც ინტერვენციის იმედებით კვებავდენ ისინი, საზოგადოების მერყევ და მეშჩანურ ნაწილს; ჩვენ არა ერთხელ გვიმხილებია მათი კავშირი ამიერ-კავკასიის სხვა კონტრ-რევოლიუციონურ ნაშთებთან; მათი კავშირი ავაზაკურ ბანდებთან; მათი ცდა ყველა შავი ძალების მობილიზაციისთვის; მათი შეიარაღებული გამოსვლები საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად და მრავალი სხვა.

საქართველოს მთელმა მშრომელმა ხალხმა და მენშევიკურ მასამაც დაინახა, თუ ვინ არიან მენშევიკების ზედა წრეები და ზიზღით შეაქცია მათ ზურგი.

მაგრამ ის, რაც გამოამჟღავნა მოქ. ხმალაძემ, მენშევიკურ ცეკას ერთ-ერთი უახლოესმა თანამშრომელმა,—აღემატება ყველაფერს.

როცა ჩვენ ვლაპარაკობდით მენშევიკების ბოროტმოქმედებათა შესახებ, ბევრს შეიძლება ჩვენი ნათქვამი გადაჭარბებულად მოსჩვენებოდა.

ხმალაძის მხილება ამტკიცებს, რომ ჩვენი ინფორმაცია და დახასიათება მენშევიკების „მუშაობის" შესახებ ძალიან უმნიშვნელო იყო იმასთან შედარებით, რასაც ეს ვაჟბატონები ნამდვილად სჩადიოდნენ.

ხმალაძის მასალა ერთი მხრივ ადასტურებს ჩვენ მიერ მენშევიკების მიმართ თავის დროზე წამოყენებულ ბრალდებებს, მეორე მხრივ იძლევა პირდაპირ სენსაციურ და მრავალ კონკრეტიულ ფაქტებს ამ ავანტიურისტების და ბანდიტების შესახებ.

დღეს, როცა თითო-ოროლა მენშევიკ-ბანდიტები შემოდგომის ბუზივით უკ ნასკნელად იკბინებიან და რევოლვერის ტყვიებით უმასპინძლდებიან მენშევიკურ ორგანიზაციიდან გასულ უკანასკნელ აქტიურ მუშებს, ზედმეტი არ იქნება შევეხოთ ხმალაძის მიერ გამოქვეყნებულ ფაქტებს და ამით აღვადგინოთ უფრო სრული სურათი მენშევიკ-მაუზერისტების „საგმირო საქმეების".

მაუზერისტებად, თეთრ ტერორისტებად ისინი მარტო დღეს ამ ბოლო დროს არ გამხდარან.

ჯერ კიდევ 1922 წელში მათ განზრახული ჰქონიათ ამხანაგების: ვოროშილკის და სკლიანსკის მოკვლა ბორჯომში, ცაკის თავმჯდომარის ამხ. მახარაძის და სახალხო კომისართა თავმჯდომარის ამხ. მდივანის გატაცება; იმავე წელში მტკვარში გადაჩეხვა იმ მატარებლისა, რომლითაც უნდა ემოგზაურათ წითელ კურსანტებს.

და ყველაფერი ეს უნდა ჩადენილიყო მენშევიკების ცეკას დავალებით.

თეთრი ტერორი, აი, სხვათა შორის, რა ახასიათებს მენშევიკების „პოლიტიკას" იმ თავითვე.

1922 წელსვე მენშევიკური ცეკასგან დავალებით უნდა გაეძარცვათ მატარებელი, რომლითაც დიდძალი სავალიუტო ფულით მიდიოდნენ ბათომისაკენ სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები და ვაჭრები. ამ გაძარცვის მიზანი იყო, გარდა მენშევიკური ცეკასათვის მატერიალურ საშუალებათა გამონახვისა, იმის დამტკიცება ევროპისათვის, რომ საქართველოში გამეფებულია ანარქია, რომ აქ არ არის ნამდვილი ხელისუფლება, რომ საბჭოთა ქვეყნებთან არავითარი საალებმიცემო ურთიერთობის დამოკიდებულობის დაჭერა არ შეიძლება, რომ ვაჭრებს, „საქმის" ხალხს, აქ მოელის როგორც პირადი საფრთხე, ისე თავის ქონების დაკარგვა.

ექსპროპრიაცია, რომელიც პოლიტიკურ მიზანსაც ისახავდა,—აი, მენშევიკების ერთ-ერთი მეთოდი საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლაში.

მენშევიკური პარტია სისტემატიურად ემზადებოდა შეიარაღებული აჯანყებისათვის საქართველოში. მაგრამ ვისზე შეეძლო მას დამყარება? მშრომელმა ხალხმა კბილები გაუსინჯა მათ, გარიყა ისინი. მიუხედავად იმისა, რომ ბატონი მენშევიკები ჭორებს ავრცელებდენ და ცდილობდნენ შეექმნათ ილლიუზია ანტანტის დახმარების შესახებ, ამ სიცრუის ანკესზე თითო-ოროლა გულუბრყვილო თუ ებებოდა. ამიტომ მათ უნდა ეძიათ მოკავშირე ყაჩაღურ ბანდებში.

ხმალაძეც აღიარებს, რომ მენშევიკურ ცეკას, მენშევიკურ ორგანიზაციებს კავშირი ჰქონდათ გაბმული ბანდიტურ შაიკებთან, რომლებთან კონტრაქტით „მუშაობდნენ" ისინი. ბანდები ჩოლოყაშვილის, ლოლონტის, კასრაძის და სხვების—აი მათი „შეიარაღებული არმია".

რას აკეთებდენ ეს შაიკები?—ისინი ძარცვავდენ მშვიდობიან მოსახლეობას, აწიოკებდენ მათ, ამით ქმნიდნენ ანარქიას და ხელს უშლიდნენ საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობას.

ყაჩაღებთან კავშირი, მათ მიერ ძარცვა-გლეჯისათვის ხელისშეწყობა—ეს ერთ ერთი მთავარი ხაზია ბ. ხომერიკის და კომპანიის „რევოლიუციონურ საქმიანობის".

თუ მენშევიკები არ ერიდებოდნენ აშკარა ყაჩაღებთან კავშირის დაჭერას, მით უმეტეს იქნებოდნენ ისინი კონტაქტში სხვა ანტისაბჭოთა პარტიებთან და პირველყოვლისა ნაც.-დემოკრატებთან.

ეს, სხვათაშორის, ცხადი შეიქნა თავის დროზე ცნობილ სამხედრო ცენტრის აღმოჩენით.

ხმალაძეც ადასტურებს, რომ მენშევიკები მოქმედებდნენ ნაციონალ-დემოკრატებისა და მათ სამხედრო რაზმებთან სრული კონტაქტით.

მაგრამ მენშევიკები არ კმაყოფილდებოდნენ მარტო საქართველოს კონტრ-რევოლიუციონური ხროვის ორგანიზაციისა და მობილიზაციის ცდით. მათ კავშირი ჰქონდათ გაბმული აზერბეიჯანის, სომხეთის, მთიულეთის და სხვა შავ ძალებთან, რათა ამიერ-კავკასიის მასშტაბით მოეწყოთ შეთანხმებული გამოსვლა მუშურ-გლეხური მთავრობის დასამხობად.

მენშევიკურ ცეკასტებმა ამასთან კარგად იცოდნენ, რომ მარტო შინაური, საქართველოს და ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციის ნაშთებით შეუძლებელია საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება. ამიტომ მათი გულისყური მიპყრობილი იყო უცხოეთისკენ, საიდანაც მოელოდნენ ხსნას. საქართველოს „განთავისუფლებას" ისინი უკავშირებდნენ ევროპის სახელმწიფო კონფერენციებს. ამ კონფერენციების წინა ხანებში და მათ დროს მენშევიკებს უნდა მოეწყოთ და მოეხდინათ აქ შეიარაღებული აჯანყებები, რათა ეჩვენებიათ ევროპისათვის, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი უკმაყოფილოა არსებული წყობილებით, იარაღით ხელში იბრძვის მის წინააღმდეგ და მენშევიკური მთავრობის დასაბრუნებლად.

ამას, ერთი მხრივ, ზურგი უნდა გაემაგრებია უცხოეთში გადახვეწილ „დემოკრატიულ" მთავრობისათვის და მეტი „ძალა" მიეცა მისი „მემორანდუმებისათვის" იმპერიალისტურ მთავრობათა და მათი კონფერენციების წინაშე, მეორე მხრივ—„მორალურად გაემართლებია" იმპერიალისტურ მტაცებლების ჩარევა საქართველოს საქმეებში.

ასეთია ხმალაძის მხილების შინაარსი.

ამ მხილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, ეს იმიტომ, რომ მისი ავტორია კაცი, რომელიც უშუალოდ გაცნობილია მენშევიკების შინაურ საქმეებს და რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა მათი ყველა „ოპერაციებსა" და „კომბინაციებში".

ხმალაძის მიერ მოთხრობილი ფაქტები უტყუარი ფაქტებია, რომლებიდან თავის დაძვრენას ვერ მოახერხებს მენშევიკების ცეკა.

რა დასკვნა გამოდის ყველა ამედან?—ერთად-ერთი, სახელდობრ ის, რომ მენშევიკ ცეკისტები და ყველა მათთან მყოფნი სისხლის სამართლის დამნაშავენი არიან, თავზე ხელაღებული ბანდიტები.

საბჭოთა ხელისუფლება მათ გაუსწორდება სწორედ როგორც ასეთებს. სისხლითა და რკინით მოსპობს მუშების მკვლელებს, მშრომელი ხალხის გაუსწორებელ მტრებს.

შრომის ხელფასის გაცემა ჩერვონეცის მანეთის ანგარიშით

ყველამ იცის ეხლა, რომ მუშა-მოსამსახურე ზოგან იღებს შრომის ხელფასს საქონლის მანეთით, ზოგან კი—ჩერვონეცის მანეთით.

რად იღებენ პირველით და სად მეორეთი?

რა დადებითი მხარე აქვთ მათ და რა ნაკლი?

ან რისთვის გადავიდა ზოგი დაწესებულება ჩერვონეცის მანეთზე?

საქონლის მანეთით ხელფას იღებენ წვრილ წარმოება-დაწესებულებებში და აგრეთვე სამეურნეო ხარჯზე მყოფ წარმოება-დაწესებულებებში. ჩერვონეცის მანეთით კი—ყველა სახალხო კომისარიატებში და დაწესებულებებში, რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო მომარაგებაზე და აგრეთვე რკინისგზის მომუშავენი. დადებითი მხარე საქონლის მანეთისა ის არის, რომ იგი წარმოადგენს რეალურ ღირებულებას (როგორც წინეთ ვრცლად შევეხე მას),*) უმთავრეს საჭირო 24 საგნისას. როგორადაც იზრდება ღირებულება ამ საგნებისა, იმდენად იზრდება მანეთის რაოდენობაც. თუ მუშა-მოსამსახურე დროზე იღებს საქონლის მანეთით ხელფასს—ის იღებს რეალურ საქონლის ღირებულებას. უარყოფითი მხარე მისი არის ის, რომ საქონლის მანეთის კურსი ყოველ დღე კი არ ცხადდება, არამედ—კვირაში ერთხელ, ხოლო საქონლის ღირებულება კი ყოველ დღე იცვლება. მაშასადამე, თუ გვიანდება ჯამაგირის მიღება, მუშა ყოველ დღე ჰკარგავს საგნების რეალურ ღირებულებაზე და მთელ ჯამაგირის რაოდენობას კი არ იღებს—არამედ გაცილებით ნაკლებს. იმ პატარა წარმოებებში, სადაც ნაწარმოების ფულად ქცევა ადვილათ შეუძლიანთ—ადვილია საქონლის მანეთით ხელფასის გასტუმრებაც. რადგან ვთქვათ დღეს მომზადებული საქონელი დღესვე გაყიდა; აიწევს ხელფასი აიწევს ნაწარმოების ფასიც. ადვილათ ახერხებს ამის ანგარიშს მწარმოებელი.

იქ კი, სადაც ასე ადვილი არ არის ნაწარმოების გასაღება (ფულად ქცევა), როგორც მსხვილ წარმოებებში, ან სრულებით არა აქვთ რა გასასაღებელი, როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში—უსათუოდ უნდა გადასულიყვნენ ჩერვონეცის მანეთის ანგარიშზე.

რატომ?

იმიტომ, რომ საქონლის მანეთებით არც ერთ დაწესებულებას არ შეეძლო არამც თუ ერთი წლის ხარჯთ-აღრიცხვა შეედგინა, არამედ ერთი თვისაც, რადგან ფასები ყოველკვირა იცვლება. ჩერვონეცის შემოღებით კი მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა ჩვენ ფინანსებს და მთელ წარმოება-მეურნეობის გაჯანსაღებას. ჩერვონეცი გამოდგა მტკიცე ვალიუტა, რომელზედაც შეიძლება დაამყარონ ყველა დიდ წარმოება-დაწესებულებებმა თავიანთი ბიუჯეტი, ურომლისოდაც მათ არ შეუძლიათ იარსებონ. თუ ჩვენ მარტო მერყევ ფულის ნიშნებზე დავრჩებოდით იმ ნიშნებზე, რომლებიც საათობით იცვლება, ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა მასზე სწორი ანგარიშის დამყარება. ეხლა კი, როდესაც ჩერვონეცმა ასეთი მაგარი ვალიუტის სახე მიიღო, რომელსაც რუსეთში კი არა საზღვარგარეთაც ხარბათ ეტანებიან,—შეიძლება მასზე სწორი და გეგმიანი მუშაობის დაწყება, ყოველნაირი ოპერაციის წარმოება აღებ-მიცემაში და სხვა.

აი უმთავრესი მიზეზი ჩერვონეცის შემოღებისა შრომის ხელფასის გასაცემათ. ხელფასი კი, ყველასათვის ცხადია, შეადგენს ერთ-ერთ ძირითად ნაწილს ბიუჯეტისას.

ისეთ დაწესებულებებში, როგორც არიან სახელმწიფო დაწესებულებები, სადაც მთელი თვის ხელფასის გაცემა უხდებოდათ საქონლის მანეთით მხოლოდ ერთი კურსის მიხედვით, სახელდობრ 10 რიცხვის კურსით, ფაქტიურად კი—უმრავლეს შემთხვევაში არიგებდენ—თვის ბოლოში, ზოგჯან ორი-სამი თვის შემდეგ (და მეტადრე პროვინციებში, სადაც ტეხნიკური მიზეზების გამო, ისედაც უგვიანდებოდათ შის მიღება),—ადვილი წარმოსადგენია, რომ მუშა მოსამსახურე ნამდვილ ხელფასს კი არ ღებულობდა საქონლის მანეთით, არამედ 25—50 პროც. ნაკლებს ჯამაგირისას.

აი მეორე მიზეზი რისთვის გადავიდენ ხელფასის გაცემაზე ჩერვონეცით, რომლის კურსი მტკიცე იქნება, რა დროსაც უნდა მიიღოთ მითი. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ საქონლის მანეთიდან გადასვლა ჩერვონეცის მანეთებზე აღებული იყო იმ ვარაუდით და ისეთ რაოდენობით, როგორც ხდებოდა ხელფასის გეცემა სინამდვილეში.

ბევრს გაუკვირდა საქონლის მანეთის მაგიერ ჩერვონეცებით რომ მიიღო ფული: „ასე რად შეგვიმცირეს ჯამაგირი"-ო. თითქოს ასეც გამოდის, როდესაც ადარებ საქონლის მანეთით მიღებულ ფულის რაოდენობას და გადაგაქვს ჩერვონეცის მანეთის კურსზე, აგრეთვე ბონებით, გამოდის რომ გაცილებით ნაკლებს ღებულობთ, მაგრამ როდესაც დააკვირდებით, როგორც ზევითა ვსთქვი, იმას, თუ რა დროს იღებდით წინეთ ჯამაგირს და რომელ კურსით, (მე მხედველობაში მაქვს სახელმწიფო დაწესებულებები), ადვილად მიხვდებით, რომ ჯამაგირის რაოდენობა ისევ ისე არის დაცული, როგორიც იყო. მარტო მოხდა საქონლის მანეთის შეფარდება ჩერვონეცის მანეთთან მისი დარიგების დროის მიხედვით. ამისთვის ჩერვონეცის მანეთით ხელფასის მიღება უფრო ხელსაყრელია ეხლა, ვიდრე უწინ საქონლის მანეთით, რადგან რაც უფრო გვიან ღებულობდით უწინ ჯამაგირს იმდენად ნაკლებს იღებდით ეხლა—კი გვიან მიიღებთ თუ ადრე თქვენი ჯამაგირი უცვლელია ჩერვონცებით. ეს ხელსაყრელია განსაკუთრებით პროვინციისათვის, სადაც მართალია გვიან მიიღებენ ჯამაგირს მაგრამ არაფერს დაჰკარგავენ უწინ შეიძლება ჯამაგირის მარტო 50 პროცენტი მიეღოთ, ეხლა კი სულ 100 პროც მიიღებენ.

ეს ყველა დადებითი მხარეა ჩერვონეცის მანეთისა. მაგრამ ხელფასის ასეთ წესს აქვს ერთი ნაკლიც, რომელიც აუცილებლათ უნა იქნეს გამოსწორებული, სახელდობრ ის, რომ მუშა-მოსამსახურეს ხელფასი თუმცა ეძლევა ჩერვონეცის კურსით მაგრამ—არა ჩერვონცებით არამედ ბონებით. ხოლო უკანასკნელის, როგორც ვიცით, ეცემა ყოველ დღე. მიღებისთანავე ხომ ვერ დახარჯავს მას მუშა-მოსამსახურე ყოველ დღე აქვს მას საჭიროება და მეორე თვის ჯამაგირის მიღებამდე უნდა იმყოფინოს. ამიტომ ის აღარ წარმოადგენს ძველ ღირებულებას...

შინაური.

---

*) იხ. „კომუნისტი" № 285. 11 დეკემბ.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

გერმანიის სოციალ-დემოკრატიის დაშლა

მუშები განაგრძობენ ბრძოლას რვა საათის სამუშაო დღისათვის

სოციალ-დემოკრატიის კრახი: გერმანიის სოციალისტების ლიდერმა ლედებურმა გერმანიის პროლეტარიატის მიმართ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც აცხადებს, რომ სოციალ-დემოკრატია არის მუშათა კლასის გამყიდველი და მოღალატე. ლედებური ილაშქრებს აგრეთვე დამოუკიდებელთა წინააღმდეგაც.

საერთო მდგომარეობა: მთავრობამ დაატუსაღა კომპარტიის რეგენსბურგის ორგანიზაციათა მდივანი ამხ. პლოკკა.

ზოგიერთმა ყვითელმა პროფკავშირებმა „სთხოვეს" მთავრობას სამხედრო რეჟიმის შემსუბუქება.

გერმანიის ამბების გამოძახილი: მოკავშირეთა სამხედრო-საკონტროლო კომისიას მიენდო შავი რეიხსვერის მოქმედების გამორკვევა.

მუშები განაგრძობენ ბრძოლას

ფრანკფურტის სტამბებში.

ბერლინი. 10 იანვ. ფრანკფურტის სტამბების მწარმოებლებმა დაითხოვეს მთელი ტეხნიკური პერსონალი 9 საათის სამუშაო დღეზე უარის თქმის გამო. სტამბების დანარჩენი მოსამსახურეები ატარებენ იტალიურ გაფიცვას.

სილეზიის პროფკავშირები მუშებს ამხნობიან.

ბერლინი. 10 იანვარი. სილეზიის პროფკავშირები ილაშქრებენ სამუშაო დღის გადიდების წინააღმდეგ. წარმოებების მუშებმა მიატოვეს დღეს ფაბრიკები 8 საათის მუშაობის შემდეგ. მწარმოებლები იმუქრებიან მუშების დათხოვნით. დაიწყო მოლაპარაკება შეთანხმების შესახებ.

დაპყრობილ ოლქებში ბრძოლა მწვავდება.

ბერლინი. 10 იანვ. რურის, რეინის და ვესტფალიის მემარცხენე საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა იკისრეს ხელმძღვანელობა გაეწიონ საერთო გაფიცვას და ბრძოლას 8 საათის სამუშაო დღისათვის. კრეფელდის აბრეშუმის და ხავერდის მრეწველობის ყველა მუშებმა მიატოვეს სამუშაო. სამთამადნო და ფოლადის მრეწველობის სამმართველომ დაითხოვა ყველა მუშები 10 საათის სამუშაო დღეზე უარის თქმის გამო. დიუსსელდორფში დაითხოვეს ლითონის მრეწველობის ყველა წარმოებები. მწარმოებლები ცდილობენ შექმნან შტრეიკბრეხერების რაზმები, მაგრამ მათ წინააღმდეგობას უწევენ გაფიცულები, რომელთაც მოაწყვეს რაზმები შტრეიკბრეხერების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ჰააგენში მოხდა გაფიცულების შეტაკება შტრეიკბრეხერებთან, რომლის დროსაც დაიჭრა ერთი შტრეიკბრეხერი. დიუსელდორფში, ხილდენში და ბენრატში უმუშევრებმა არავინ არ შეუშვეს წარმოებებში. დუისბურგში მოხდა შეტაკება გაფიცულებსა და პოლიციის შორის. ბრძოლის განწყობილება იზრდება აგრეთვე სამთამადნო მუშებში, რომელნიც აქამდის არავითარი წინააღმდეგობას არ უწევდენ 10 საათის სამუშაო დღის შემოღებას.

მუშების დიდი აღშფოთება იწვევს საგანგებო სასამართლოების მოქმედების გაძლიერებას. ჰააგენში საგანგებო სასამართლომ 23 მუშას მიუსაჯა 100 თვით ციხეში დამწყვდევა უმუშევართა დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებისათვის.

ბრძოლა გაფიცვების წინააღმდეგ.

ბერლინი. 10 იანვარი. რეიხსვერის სამხედრო სარდლობა ბრძოლას აწარმოებს გაფიცვების წინააღმდეგ. სილეზიის საოლქო სარდლობამ აკრძალა გაფიცვები იმ წარმოებებში, რომელნიც პირველ მოთხოვნილების საგნებს ამზადებენ.

გერმანიის ახალგაზრდობის კომკავშირის მუშაობა.

მოსკოვი. 9 იანვარი. ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის სხდომაზე ამხ. შილერის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გერმანიის ახალგაზრდობის კომკავშირი მთავარ ამოცანად ისახავს ამჟამად მშრომელი ახალგაზრდობის დემონსტრაციების მომზადებას 14 იანვრისათვის, კარლ ლიბკნეხტის მოკვლის დღისათვის და აგრეთვე ახალგაზრდობის შეკავშირებას კაპიტალის ახალი ეკონომიური და პოლიტიკური შემოტევის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის.

გაფიცვები.

პარიზი. 11 იანვარი. ბერლინში მწარმოებლებსა და მუშებს შორის მოხდა მთელი რიგი კონფლიქტებისა შრომის ხელფასის მიცემის საკითხის გარშემო; მუშები მოითხოვენ შრომის ხელფასის ოქროს მარკით მიცემას. იტყობინებიან გაფიცვების შესახებ კრეფელდში, კელნში და ბოხუმში. ზოლინგენში, პროტესტის ნიშნათ 10 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ, გაიფიცნენ მელითონეები.

სოციალ-დემოკრატიის კრახი

ლედებურის მოწოდება გერმანიის მუშებისადმი.

ბერლინი. 10 იანვარი. გერმანიის მუშებისადმი მიმართულ მოწოდებაში ლედებური აღნიშნავს, რომ „გერმანიის მუშათა მოძრაობა „თითქოს ჭაობში ჩაეფლო". პროლეტარიატი იღუპება. რეაქცია იღვიძებს. პროლეტარიატის ძალები იხარჯება შინაურ ბრძოლაში. სოციალ-დემოკრატიული პარტია არის გამცემლების პარტია".

ლედებური სასტიკად აკრიტიკებს დამოუკიდებლებს, რომლებიც ომის დროს იბრძოდენ მხოლოდ გერმანიის კაპიტალიზმის წინააღმდეგ და უარს ამბობდენ საფრანგეთის იმპერიალიზმთან ბრძოლაზე. ლედებური აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი ისე შორს წავიდა, რომ მხარს უჭერდა რეინის სეპარატისტებს და რეინის სახელმწიფოს შექმნას. არ შეიძლება იმედების დამყარება პარტიის დღევანდელ ხელმძღვანელებზე, რომლებიც მხარს უჭერენ პუანკარეს ზრახვებს.

ლედებური ათავებს თავის მოწოდებას აღნიშვნით, რომ სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელთა პოლიტიკის წყალობით, მრავალრიცხოვანი მუშები არ ღებულობენ მონაწილეობას მუშათა მოძრაობაში.

ლედებურს გამოჰყავს ისეთი დასკვნა, რომ საჭიროა ახალი ისეთი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შედგენა, რომელსაც სამარცხვინო წარსული არ ექნებოდა და შესძლებდა პროლეტარიატის გაერთიანებას სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

საერთო მდგომარეობა

კომპარტიის რეგენსბურგის ორგანიზაციის მდივნის დაპატიმრება.

ბერლინი. 10 იანვარი. ბავარიის პროკურატურამ გასცა ბრძანება კომპარტიის რეგენსბურგის ორგანიზაციის მდივნის პლოკკის დაპატიმრების შესახებ.

დემოკრატიულ პროფკავშირების „თხოვნა".

ბერლინი. 10 იანვარი. გირშ-გორნის მუშათა, მოსამსახურეთა და მოხელეთა დემოკრატიულმა პროფკავშირებმა მიმართეს რეიხს-კანცლერს „თხოვნით" განსაკუთრებულ მდგომარეობის გაუქმების შესახებ. განცხადებაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ განსაკუთრებული წესების შენარჩუნება ცუდ მდგომარეობაში აყენებს მუშებს მწარმოებლებთან დაწყებულ კონფლიქტების დროს.

გერმანიის ამბების გამოძახილი

შავი რეიხსვერის დათვალიერება

ბერლინი 10 იანვარი. მოკავშირეთა სამხედრო საკონტროლო კომისიას მიეცა ინსტრუქციები დაათვალიეროს უმთავრესად შავი რეიხსვერი ანუ ეგრ. წოდ. რეიხსვერის არალეგალური დამხმარე რაზმები

პირველ რიგში დათვალიერებული იქნებიან შემდეგი ქალაქები: კენისბერგი, შტეტინი, მაგდებურგი, დრეზდენი, ლეიპციგი და ბრესლაუ.

ინგლისი „მუშათა მთავრობის" მოლოდინში

მაკდონალდის სიტყვის გარშემო: კონსერვატიული პრესა აღნიშნავს, რომ მაკდონალდმა თავის სიტყვაში დაივიწყა სოციალიზმის პრინციპები.

პრესა უკმაყოფილოა იმით, რომ მაკდონალდმა არაფერი სთქვა უმუშევართა, შრომის ხელფასის, გადასახადების და ნაციონალიზაციის შესახებ.

მთავრობაა ძებნაში: პარლამენტის წევრები ბევრს ლაპარაკობენ მუშათა პარტიის მომავალ მთავრობის შემადგენლობაზე. მათი სიტყვით, მაკდონალდი იქნება პრემიერად და საგარეო საქმეთა მინისტრად. ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრად ასახელებენ ფილიპე სნოუდენს.

ინგლისის ამბების გამოძახილი: საფრანგეთის მთელი ბურჟუაზიული პრესა დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამს მაკდონალდის სიტყვის ზომიერ კილოთი.

საფრანგეთის პრესის ცნობით, მაკდონალდის ერთად-ერთი ახალი აქტი იქნება საბჭოთა კავშირის ცნობა.

მაკდონალდის სიტყვის გარშემო

კონსერვატიული პრესა მაკდონალდის სიტყვის შესახებ.

ლონდონი. 10 იანვარი. კონსერვატიული პრესა ირონიულად აღნიშნავს მაკდონალდის სიტყვას. „დეილი ტელეგრაფი" სწერს: „სოციალისტურ პარტიის ლიდერმა თავის სიტყვაში არაფერი არა სთქვა კაპიტალზე გადასახადების შესახებ და უყურადღებოთ დასტოვა ნაციონალიზაციის საკითხი. მთელ სიტყვაში ხსენებაც კი არ იყო სპეციალურ სოციალისტურ ლოზუნგების, რომლებიც მაკდონალდმა და მისმა პარტიამ წამოაყენეს უკანასკნელ არჩევნებში. უმუშევრობის და ხელფასის საკითხებიც კი არ გააშუქა მაკდონალდმა თავის სიტყვაში."

ეს სიჩუმე, გაზეთის აზრით, საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ სოციალისტური ტაქტიკა ახლო მომავლისათვის. მუშათა პარტიას განზრახული აქვს მოსპოს ლაპარაკი სოციალიზმზე და შეახვიოს წითელი დროშა.

„ტაიმსი" განაგრძობს მტკიცებას, რომ მუშათა მთავრობას დიდი გავლენა ექნება საგარეო პოლიტიკის დარგში, თუ ის მტკიცეთ შეეცდება თავის მიზნების განხორციელებას.

წერილები ბერლინიდან

უმუშევრობა—რევოლიუციონური პრობლემაა

გერმანიის კაპიტალიზმმა განიცადა მრისხანე ნოემბრის კრიზისი. მაგრამ გადარჩა თუ არ იგი? გულუბრყვილობა იქნებოდა ამის დაჯერება.

დღევანდელ მძიმე მდგომარეობაში, ყველაზე სერიოზულად მისთვის ითვლება—პრობლემა უმუშევრობის შესახებ. გერმანიის ბევრ ქალაქებში უმუშევრები ხდებოდენ ან რევოლიუციონერებად ან მეამბოხეებათ. თუ მათი რიცხვი დაუსრულებლად გაიზარდა და თუ გაგრძელდა გერმანიაში ბურჟუაზიულ საზოგადოების დაშლა, განა მაშინ გერმანიის კაპიტალიზმი ჩქარა უფრო კრიტიკულ მდგომარეობაში არ ჩავარდებოდა, ვიდრე იყო ის მდგომარეობა, რომლიდანაც ეს კაპიტალიზმი დიდი გაჭირვებით გამოვიდა?

ვნახოთ, რა ხდება ბერლინში. ჩვენ გვქონდა სწორი ციფრები უმუშევრობის შესახებ ბერლინში 25 ოქტომბრიდან 17 ნოემბრამდე. აი ეს ციფრები:

	უმუშევართა რიცხვი	იმ უმუშევართა რიცხვი რომელთაც დახმარება ეძლეოდათ
15 ოქტ.	195.730.	135.500
20 „	185.730	123.932
27 „	110.586	144.315
3 ნოემ.	223.181	158.554
10 „	247.432	174.860
17 „	255,841	189.600

აღვნიშნავთ, რომ ბერლინი აღარ იმყოფება უფრო კრიტიკულ მდგომარეობაში, ვინემ დაუკავებელ გერმანიის სამრეწველო ცენტრების უმრავლესობა. ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი ამ სტატისტიკაში (ოფიციოზის) არის უმუშევრობის რეგულიარული ზრდა კვირიდან კვირამდე. ეს ზრდა მომავალშიაც უნდა გაგრძელდეს?

ფინანსიური პრობლემა გადაუჭრელია. გერმანია არსად უცხოეთში არ სარგებლობს კრედიტით და მას არ აქვს ისეთი ვალიუტა, რომელსაც გასავალი ჰქონდეს უცხოეთის ბირჟებზე. სიძვირე და, მაშასადამე, პროდუქციის ფასიც, მიუხედავად უმნიშვნელო სამუშაო ხელფასისა, გაცილებით მეტია, ვინემ სადმე. მისი საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა—არის მდგომარეობა იმ ქვეყნის, რომელთანაც მტრებს არც კი შეუძლიათ მოლაპარაკება, იმდენად საგრძნობია მისი მთავრობის უილაჯობა. ამრიგად ცხადია, არავითარი საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ უმუშევრობა შემცირდება მახლობელ კვირების განმავლობაში. პირიქით, ყველაფერი ხელს უწყობს იმას, რომ ვიფიქროთ მისი გაფართოება დაუსრულებლობამდე, მაშასადამე, ეხლა მარტო ბერლინში დახმარება არ ეძლევა 60,000 უმუშევარს. როგორ ცხოვრობენ ისინი? საერთაშორისო მუშათა დახმარების კომიტეტის, ავსტრიის დახმარების კომიტეტის დამხსნელი არმიის და სხვადასხვა ფილანტროპიულ საზოგადოებათა გაერთიანებული ღონისძიებანი ვერ უზრუნველყოფენ გალატაკებულთა ამ რაოდენობას. მუშები, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ღებულობდენ უმნიშვნელო ჯამაგირს, ეხლა ბერლინში დარჩენ სამუშაოს გარეშე. მანიფესტაციებზე, რომელთაც აწყობს აკრძალული კომპარტია, ისინი გამოდიან ქუჩებში თავიანთ მოცვეთილ „კიტელებში", რომელთა შიგნით, დეკემბრის ყინვების დროს, მათ არც კი აცვიათ საცვლები,—გაფითრებულები, მოქანცულები, ჩაცვენილ თვალებით, ბარბაცით ისინი გამოჩნდებიან—და მწვანე პოლიცია მიერეკება მათ მათრახებით ქალაქის მთავარ ქუჩებზე მდიდრულად მორთულ გამვლელებს შორის. განა ეს არის საკითხის გადაჭრა? რამდენი მილიონი უმუშევარი იქნება გერმანიაში ზამთრის დასასრულს? როდესაც ისინი მოითხოვენ პურს და აკრძალული კომპარტიის წითელი დროშები უჩვენებენ მათ გზას იქითკენ—რას გახდებიან ებერტი, ფონ-სექტი და მათი ბატონი—სტინესი? ვინაიდან, თუ ზოგჯერ ტყვია ჩინებულათ სცვლის პურს, ამ შემთხვევაში ის საჭირო იქნება ბევრი, ძალიან ბევრი!..

რ ალბერტ.

ბერლინი, 20 დეკემბერი.

ბოროტმოქმედებათა საჩვენებელი სასამართლოს პროცესები

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

მუშა-გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს ჩაატაროს საჩვენებელი სასამართლოს პროცესები სამეურნეო ორგანოებში მომხდარ ბოროტმოქმედებების შესახებ. ამ პროცესებს მიზნათ აქვს დასახული მიაქციოს საზოგადოებრივი ყურადღება სამეურნეო ორგანოების ავადმყოფ მხარეებს. გარჩეული იქნება უმთავრესად ისეთი საქმეები, რომელთაც აქვთ მასიური ხასიათი, როგორც მაგალითად სახელმწიფო ქონების გაფლანგვა დაუდევარი და ცუდი ხელმძღვანელობის გამო. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კერძო პირებთან სხვა და სხვა სავაჭრო პირობების დადებას, რომელნიც პირდაპირი დამღუპველია სახელმწიფოსათვის და საშუალებას აძლევს კერძო პირებს და შუამავლებს გამდიდრდენ და ჯიბე გაივსონ სახალხო სიმდიდრის ხარჯზე.

პროცესები მიიქცევენ სამეურნეო ორგანოების ყურადღებას, რაც გავლენას მოახდენს სამეურნეო საქმიანობაზე და გამოასწორებს ვაჭრობის და მეურნეობის ბევრ ნაკლს.

რამოდენიმე ასეთი საჩვენებელი პროცესები ჩატარებული იყო მოსკოვის სასამართლოებში, სადაც გამოირკვა თუ როგორ სარგებლობდენ კერძო პირები ჩვენი სამეურნეო ორგანოების ზოგიერთი ხელმძღვანელების სისუსტით. რამოდენიმე მილიონი ოქროს მანეთი სახელმწიფო ქონებიდან ჩაიგდეს ხელში კერძო პირებმა—კონტრაგენტების სახით.

საჩვენებელი პროცესების მოწყობის გარდა მუშა-გლეხთა ინსპექცია იმუშავებს კანონების პროექტებს მეურნეობის და ვაჭრობის დაყენების შესახებ, სამეურნეო ორგანოებში თანამშრომელთა შერჩევის შესახებ და სხვა. ინსპექციის მიერ წარმოებული რევიზიები მიქცეული არიან სამეურნეო დეფექტების და ბოროტმოქმედების აღმოჩენის გარდა, სამეურნეო ორგანოების თანამშრომელთა შემადგენლობის გამორკვევას. სასამართლოში გარჩეულმა საქმეებმა დაამტკიცა, რომ ბოროტმოქმედებათა წყარო თანამშრომლების შემადგენლობა არის. ამიტომ უახლოეს ამოცანად მუშა-გლეხთა ინსპექციას დასახული აქვს სამეურნეო ორგანოების თანამშრომელთა შემადგენლობის გაწმენდა.

სასამართლოს პროცესებს იმის გარდა რომ ის ფართოდ აშუქებს სხვადასხვა ბოროტმოქმედებებს, აქვს მნიშვნელობა კიდევ იმით, რომ პროცესის დროს ირკვევა ისეთი დეტალები, რომელიც არ შეიძლება შესწავლილი იქნეს საინსპექციო რევიზიით.

დან ძე.

მოსკოვი, 30 დეკემბერი.

მთავრობის ძებნაში

მუშათა მთავრობის მოსალოდნელი შემადგენლობა.

ლონდონი. 10 იანვარი. პარლამენტის წევრთა შორის გრძელდება მუშათა პარტიის მომავალი კაბინეტის შემადგენლობის განხილვა. ჯერჯერობით ყველა დარწმუნებულნი არიან, რომ მაკდონალდი იქნება პრემიერად და გარეშე საქმეთა მინისტრად, სიდნეი უები ან ფილიპ სნოუდენი ხაზინის კანცლერად ან ვაჭრობის მინისტრად. მეფის სიტყვაზე მუშათა პარტიის პასუხის შესწორება ჯერ არ არის შემუშავებული და განხილული იქნება სიტყვის გამოქვეყნების შემდეგ სამშაბათს. კონსერვატიული პრესა, როგორც სჩანს, საბოლოოდ შეურიგდა მუშათა მთავრობას და შესწყვიტა აგიტაცია ლიბერალებთან კოალიციის სასარგებლოთ. უფრო უპასუხისმგებლო ორგანო „დეილი მეილიც“ კი აღიარებს, რომ ლიბერალებმა ხმა უნდა მისცენ კონსერვატიულ მთავრობის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირონ მუშათა პარტიის შესწორებას.

საერთო მდგომარეობა

კონსერვატიულ კაბინეტის უკანასკნელი დღეები.

რომი. 10 იანვარი. ინგლისის პრესა იხილავს პარლამენტის გახსნას და აცხადებს, რომ ბალდვინის კაბინეტის ბედი გადაწყდება ერთი კვირის განმავლობაში; პრესა აღნიშნავს, რომ ბალდვინის კაბინეტის დაცემის შემდეგ ძალაუფლება გადავა მუშათა პარტიის ხელში.

ბუნებრივი გზა რევოლუციისაკენ.

ლონდონი. 10 იანვარი. შეურიგებელ კონსერვატორთა ბელადმა ფრედერიკ ბენბერიმ განაცხადა, რომ, იმ შემთხვევაში, თუ ორივე ბურჟუაზიული პარტიები არ გაერთიანდენ მუშათა პარტიის წინააღმდეგ, მაშინ ინგლისში მოსალოდნელია საშინელი რევოლუცია. „ყოველგვარი რევოლუცია, განაცხადა ბენბერიმ, თავდაპირველათ მიჰყავს ზომიერ ხალხს, როგორც არის მაკდონალდი მაგრამ ის თავდება სისხლის ღვრით, ძარცვით და მკვლელობებით.“

უმუშევრობის ზრდა.

ლონდონი. 10 იანვარი. პრესაში გამოქვეყნებულ უკანასკნელ ცნობების თანახმათ, უმუშევართა რიცხვი ინგლისში 31 დეკემბრისათვის აღემატებოდა მილიონნახევარ კაცს. უმუშევართა რიცხვის ზრდა დაკავშირებულია ექსპორტის შემცირებასთან.

ინგლისის ამბების გამოძახილი

ზომიერება ბურჟუაზიის ბუნებას შეადგენს.

ლონდონი. 10 იანვარი. მაკდონალდის სიტყვის ზომიერ ტონს ესალმება თითქმის საფრანგეთის მთელი ბურჟუაზიული პრესა. მხოლოდ ზოგიერთი ბურჟუაზიული გაზეთები გაცხოველებით იხილავენ იმ შედეგებს, რომელიც მოჰყვება ინგლისის მუშათა პარტიის ხელში ძალა-უფლების გადასვლას. „აღმოსავლეთ ევროპის“ სააგენტო პროტესტს აცხადებს ლონდონიდან მიღებულ დეპეშის გამო, რომელიც იუწყება, რომ მაკდონალდს, იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი უარს იტყვის სარეპარაციო საკითხში ინგლისის თვალსაზრისის გაზიარებაზე, ვითომ და განზრახული აქვს მოსთხოვოს საფრანგეთს ინგლისისათვის ვალის დაუყოვნებლივ გადახდა. ამგვარად საფრანგეთის უარი გამოიწვევს ფრანკის კურსის დაცემას.

„ჟურნე ინდუსტრიელი“ აცხადებს, რომ მაკდონალდი, რომელიც იძულებულია აწარმოოს ზომიერი შინაური პოლიტიკა, დაინტერესებული იქნება საფრანგეთთან შეთანხმების შენარჩუნებით. მაკდონალდის საგარეო პოლიტიკაში ერთად-ერთი ახალი აქტი იქნება, გაზეთის აზრით, საბჭოთა მთავრობის დაუყოვნებელი ცნობა.

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

ავსტრიაში: საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი ცენტრალური საკითხია ყველა ქვეყნებისათვის და, მათ შორის, ავსტრიისათვისაცო.

ბელგიაში: ბელგიის პრესა აღნიშნავს, რომ ახლო მომავალში ბელგია იცნობს საბჭოთა კავშირს.

ამერიკაში: ნიუ-იორკის ბანკებმა თანხმობა განაცხადეს საბჭოთა საფეიქრო სინდიკატისათვის სესხის მიცემაზე.

კონგრესმა გამოჰყო სპეციალური კომისია საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხის განსახილველად. კომისიის თავმჯდომარეა ბორა.

ინგლისში: კონსერვატორები უკვე ლოიალურად უცქერიან საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხს. ლიბერალები კმაყოფილნი არიან მუშათა პარტიის პოზიციით ამ საკითხში.

ამერიკაში.

სენატორ ბორას რეზოლიუციის განსახილველათ.

ნიუ-იორკი. 10 იანვარი. სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ გამოჰყო ქვეკომისია სენატორ ბორას მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ სენატში შეტანილ რეზოლიუციის განსახილველად. ბორა, როგორც რეზოლიუციის ავტორი, ქვეკომისიის თავმჯდომარე იქნება. ქვეკომისიის წევრებს დანიშნავს ლოჯი, რის გამო მასში, ალბათ, მთავრობის მომხრეები მოხვდებიან.

„როსტას“ თანამშრომელთან საუბარის დროს, სენატორმა ბორამ განაცხადა, რომ ახლო ხანში მოიწვევს კომისიის სხდომას, რომელზედაც წაიკითხავს რუსეთიდან დაბრუნებულ ამერიკელ მოქალაქეთა წერილებს.

ამერიკის პოზიცია საზარალოა თვით მისთვის.

ნიუ-იორკი. 10 იანვარი. გავლენიანი კომერციული ორგანო „ჟიორნალ ოფკომერც“ მხარს უჭერს სენტორ ბორას გამოსვლას იუზის წინააღდეგ.

„საბჭოთა კავშირის ცნობის გადამწყვეტ საკითხად,—სწერს გაზეთი,—უნდა ჩაითვალოს ის, თუ რამდენად დიდი ხანია არსებობს საბჭოთა მთავრობა“. გაზეთი ფიქრობს, რომ ეკონომიური ინტერესები უკარნახებენ ამერიკას, იცნონ საბჭოთა რუსეთი. თუ ამერიკა დააგვიანებს ამ ცნობით, ის ბევრს დაჰკარგავს ამით; უფრო საზარალო იქნება რუსეთის ეკონომიური აღორძინებისათვის ხელისშეწყობის საკითხის გადადება, რადგან ამასთან მთელი მსოფლიოს ბედია დაკავშირებული.

კრედიტი საბჭოთა რუსეთს.

ნიუ-იორკი. 10 იანვარი. საფეიქრო სინდიკატის თავმჯდომარის ნოგინის მოლაპარაკება კრედიტის შესახებ სასურველად დამთავრდა. ნიუ-იორკის ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა ბანკმა თანხმობა განაცხადა მისცეს სინდიკატს კრედიტი სახელმწიფო ბანკის გარანტიით. საჭირო დოკუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ ბანკის მოთხოვნილებებს, უკვე მიღებულია სახ. ბანკიდან. ეს პირველი საკრედიტო ოპერაცია მაჩვენებელია იმისა, რომ ამერიკის ფინანსიურმა წრეებმა შეიცვალეს დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთის ვაჭრობასთან. ნიუ-იორკის ბანკები თანახმა არიან გაავრცელონ თავიანთი კრედიტები სინდიკატას ბამბის დატვირთვაზე. ბამბის პირველი პარტია, რომელიც საფეიქრო სინდიკატის ნიუ-იორკის განყოფილებამ შეიძინა, ახლო მომავალში გაიგზავნება მურმანსკში.

ინგლისში.

ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობისათვის.

ლონდონი. 10 იანვარი. „დეილი ტელეგრაფი“ პოლიტიკურ მიმოხილვაში სწერს: „საბჭოთა მთავრობა დამშვიდებულად უცქერის ინგლისის მუშათა მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის პერსპექტივას. თუ რომ კონსერვატიულმა მთავრობამ უფრო ადრე იცნო საბჭოთა რუსეთი, მას სავსებით მხარს დაუჭერდა სოციალისტური ოპოზიცია. ეხლა კი კონსერვატიული მთავრობას, პირიქით, ჰყავს ძლიერი მოწინააღმდეგე მუშათა პარტიის სახით.

კონსერვატორების პოზიცია საბჭოთა რუსეთის ცნობის საკითხში უფრო ლმობიერია, ვიდრე იყო წინად. „მორნინგ პოსტ“-ი კმაყოფილდება მაკდონალდის გაფრთხილებით და აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის ცნობას არავითარი თვალსაჩინო შედეგები არ მოყვება. ლიბერალები გამოსთქვამენ კმაყოფილებას მუშათა პარტიის გადაწყვეტილებით იცნოს საბჭოთა მთავრობა.

ბელგიაში

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლება.

პარიზი. 10 იანვ. „ეკო დე პარის“ ბელგიის კორესპონდენტი, ხაზს უსვამს, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია ბელგიასა და საბჭოთა რუსეთის შორის ურთიერთობის განახლება. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ბელგიის მრეწველებმა უნდა აცნობონ მთავრობას, ფიქრობენ თუ თუ არა ისინი რუსეთის მრეწველობის განვითარებაში მონაწილეობის მიღებას.

ავსტრიაში.

საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის საკითხის სერიოზული განხილვა.

ვენა 10 იანვარი. ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრმა გრიუნბერგერმა ნაციონალურ საბჭოს მთავარ კომისიაში განაცხადა რომ ავსტრიის პოლიტიკის მთავარ პრინციპად ითვლება ყველა სახელმწიფოებთან მეგობრულ ურთიერთობის დაცვა. გარეშე საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ავსტრიის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან, შარშანდელ შეთანხმების გაფართოების და რუსეთის საელჩოს შენობის გადაცემის შემდეგ, იძლევა იმის იმედს, რომ მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება სავაჭრო ურთიერთობა ავსტრიასა და რუსეთს შორის საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობის საკითხს, მუსოლინის სიტყვის და ინგლისის არჩევნების შემდეგ, სერიოზულად იხილავენ ევროპის ბევრი სახელმწიფოები და აგრეთვე ავსტრიის მთავრობაც.

ავღანისტანში.

საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება ავღანისტანთან.

მოსკოვი. 12 იანვარი. საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა საბჭოთა კავშირსა და ავღანისტანს შორის დადებული სავაჭრო ხელშეკრულება 18 თვის ვადით, რომელიც შევა ძალაში ორივე სახელმწიფოების მიერ რატიფიკაციების გაცვლა-გამოცვლის შემდეგ.

პოლონეთში.

პოლონეთის საქმეთა ახალი რწმუნებული საბჭოთა კავშირში.

მოსკოვი. 12 იანვარი. პოლონეთის საქმეთა რწმუნებული საბჭოთა კავშირში გაწვეულია უკან. მის მოადგილეთ პოლონეთის ელჩის დანიშვნამდე, დატოვებულია ვიშინსკი.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

ნავთის ნაწარმოებთა გაზიდვა.

ბაქო. 10 იანვარი. დეკემბრის განმავლობაში ბაქოს ნავთიან ადგილებიდან გაუზიდავთ: ამიერ-კავკასიის ფედერაციის ფარგლების გარედ ნავთი და სამანქანო ზეთეულობა 234.599 ფ. 13 გირვ. ბენზინი 13.752 ფ. 23 გირვ. ბათომში გადაქაჩული იყო ნავთის მილის საშუალებით 1,295.829 ფ. ნავთი, რკინის გზით გადაზიდულა იქვე სამანქანო ზეთეულობა 382,854 ფ. რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის ფარგლებში გაუტანიათ 176823 ფუთი და 10 გირვ. ნავთი და სამანქანო ზეთი, 6.238 ფ. 8 გირვანქა ბენზინი.

სახადი.

ბაქო. 10 იანვარი. ბაქოში სახადი მძვინვარებს. უმეტესად უმუშევარნი ხდებიან ავად.

შემნახველი კასა.

ბაქო. 11 იანვ. ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ ქალაქში გახსნა პირველი შრომის შემნახველი კასა, რომლის ძირათადი დანიშნულებაა დაიცვას მუშათა და მოსამსახურეთა ნაოფლარი ფასის დაკარგვისაგან.

მინდვრის თაგვები.

კუბა. 11 იანვ. კუბის მაზრის კუსარის რაიონში გაჩნდენ მინდვრის თაგვები, რომელნიც ემუქრებიან ნათესებს. საწამლავის უქონლობის გამო, ბრძოლა მავნებლების წინააღმდეგ არ სწარმოებს.

ეკონომიური ცხოვრება

ტფილისის ბირჟის ოფიციალური ვალიუტის კურსების გამოცხადების დროს შეცვლა.

უკანასკნელ დროს შემჩნეულია სისტემატიური დარღვევა, როგორც დაწესებულების ან ორგანიზაციების, და კერძო ფირმების და პირთა მხრივ, ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის დადგენილებისა, რომლის ძალით ვაჭრობის ან საერთოდ ფულის აღრიცხვის დროს ოფიციალურ კურსათ უნდა ჩაითვალოს წინ დღეს გამოქვეყნებული ტფილისის საფონდო ბირჟის—მიერ დადგენილი კურსები. ამ დარღვევის მიზეზი უმთავრესად ის გარემოება იყო, რომ ახალი კურსი ცხადდებოდა დღის განმავლობაში, ხოლო მას ძალა ჰქონდა მხოლოდ შემდეგ დღისათვის.

რათა ამ გაუგებრობას ბოლო მოეღოს, ტფილისის ბირჟის კომიტეტმა, ამიერ კავკ. ფინანსთა კომისარიატის თანხმობით, დაადგინა გამოსცვალოს ოფიციალური კურსების გამოქვეყნების წესი ისე, რომ ამა წლის 10 იანვრიდან ვალიუტის ოფიციალური კურსები საჯაროდ ცხადდება დილის 8 საათზე და ეს კურსები სავალდებულოა ყველასთვის მთელი დღის განმავლობაში.

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(13—14 იანვარი)

ჩერვონცები — —	675,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	644,500
ჩეკები —	644,500
დოლარები ეფექტ. —	148,000
ჩეკები —	140.000
ოსმ. ქაღ. ლირა	90.000
იტალიური ლირა	6300
ფრანგული ფრანკი	7100
საბჭ. ფულის ნიშნები	14 ნახ.

მუშკოოპის ფასები

(13—14 იანვარი)

პური 1 ხარ. — 3000 ათ., პური 2 ხარ. — 2250. ათ. ძროხის ხორცი — 11000 ათ. ღორის ხორცი 11,000 ათ. შაქარი რაფინადი — 35,100 ათ. ფხვნილი შაქარი — 20,150 ათასი, ბრინჯი ალდ. 5200 ათ. კარტოფილი — 750 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(13 იანვარი).

პური 1 ხარ. — 3500 ათასი, პური 2 ხარ. — 3000 ათასი, ძროხის ხორცი 13000 ათ. ღორის ხ. — 13000. შაქარი რაფინადი — 36000 ათ., შაქარი ფხვნილი 21,000 ათ. ბრინჯი ალდ. — 6000 ათ., კარტოფილი 1500 ათ.

ბირჟის მიწოდება.

„სახაროტრესტ“-ის პროდუქცია. „ურალმეტ“-ის პროდუქცია, ლვედიბის (აქლემის ტყავის), ხორბლეული, სინგაპურის პილპილი, კაკაო-ზეთი და მარცვლოვანი, პარაფინი, კვებრახის ექსტრაქტი, მავთული (რშილი), შვეიცარული ყველი, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, ბორჯომის პროდუქცია, ჩაი, რუს. მანუფაქტურა, ქიმიური, ნაწარმოები, ფანჯრის მინა, კაუსტიური სოდა, ასანთი რუს., სახალხო მეურნეობის საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ალიფას ზეთი და სხვა), ნოვორ. ცემენტი და ეტერნიტი, სალომასი, ქვა-მარილი ნახიჩ, საარაყო პურეული, მატყლი, პემზა, ყარსის თივა.

ბირჟის მოთხოვნილება

მაკარონი და ვერმიშელი 1 ხარ. ყუბანის ფქვილი, სახურავი რკინა ტეხნიკური ცხიმი, ხორბალი და სხვ პურეული, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, შაქარი რაფინ. და ფხვნილი რუს. სალომასი, მზესუმზირას ზეთი, პორტლანდის ცემენტი, ყუბანის საკანდიტერო ფქვილი, საშენებელი ლურსმნები, ჩაი, ასანთი რუს., ქვამარილი ნახიჩ.

ოფიციალური გარიგებანი

მზესუმზირას ზეთი რუს. — 5 მან. 65 კ ფუთი. ფრანკო-სადგ ტფილისი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

ხორბლეულის, ფქვილის, მცენარეული და ტეხნიკური ცხიმების ბაზარზე—მტკიცეა, საფეიქრო ნაწარმოებზე—უმოქმედოა, დანარჩენ ბაზრებზე უცვლელია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსი განაგრძობს შესამჩნევ მომატებას.

ბირჟის გარეშე გარიგებანი

10 იანვარს ბირჟის გარეშე დადებულია 26 გარიგება, სულ 68608 ჩ. მან თანხისა

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(12—14 იანვარი.)

ჩერვ. [illegible]	ბონით		
1 ჩ. — 675.000,		60 ჩ. —	40.500.000
2 „ — 1.350.000,		70 „ —	47.250.000
3 „ — 2.025.000,		80 „ —	54.000.000
4 „ — 2.700.000,		90 „ —	60.750.000
5 „ — 3.375.000,		1 მ. —	67.500.000
6 „ — 4.050.000,		2 „ —	135.000.000
7 „ — 4.725.000,		3 „ —	202.500.000
8 „ — 5.400.000,		4 „ —	270.000.000
9 „ — 6.075.000,		5 „ —	337.500.000
10 „ — 6.750.000,		6 „ —	405.000.000
20 „ — 13.500.000,		7 „	472.500.000
30 „ — 20.250.000,		8 „ —	540.000.000
40 „ — 27.000.000,		9 „ —	607.500.000
50 „ — 33.750.000,		1 ჩერ.	675.000.000

ამიერ-კავკასიის შინა-ვაჭრობის კომისიის მოქმედება

(1923 წლის 18 - 31 დეკემბრამდე)

ფასების დაკლების შედეგები.

ვინაიდან შინა-ვაჭრობის კომისიის მოქმედების დაწყებიდან ცოტა დრომ განვლო, შეუძლებელია ფასების დაკლების შედეგების სისწორით გამორკვევა. საჭიროა საკმაო დრო, რომ ახალმა ფასებმა სოფლამდი მიაღწიონ. მაგრამ ის ცნობებიც, რომელიც შეგროვილია ტფილისში, ამტკიცებენ, რომ ტფილისის ბაზარს უკვე ეტყობა გაჯანსაღება.

პირველ ყოვლისა აქამდინ არსებულს დიდ განსხვავებას საბითუმო და საწვრიმალო ფასებს შორის უკვე ადგილი აღარა აქვს მაგ. ერთი მეტრი ნარმა ტფილისში იყიდებოდა ფასების დაკლებამდე ბითუმათ—55 კ., ხოლო საწვრიმალოთ—70—75 კ (36,3 პროც.), ფასების დაკლების შემდეგ—საბითუმო ფასი გახდა 50,25 კ., საწვრიმალო—კი 57,5 კ.,—ე. ი. მხოლოდ 14,4 პროც. მეტი.

მეორე საყურადღებო შედეგი ის არის, რომ უწინ სახელმწიფო სავაჭრო ორგანოების და კოოპერატივების ფასების, ერთის მხრით, და, მეორე მხრით კერძო ვაჭრობის ფასების შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ იყო, ეხლა კი კერძო ვაჭრობის ფასები საგრძნობლად აღემატება სახელ. სავაჭროების და კოოპერატივების ფასებს. მაგალითად, ჩითი (მეტრი), რომელიც კოოპერატივებში და სახელ. მაღაზიებში იყიდებოდა ფასების დაკლებამდე 55—58 კაპ, კერძო ვაჭრობაში 55 კაპ., ეხლა იყიდება—კოოპერატივებში 47 კაპ., ხოლო კერძო ვაჭრობაში 52 კაპეიკათ. ასეთივე მოვლენას ვხედავთ სხვა საგნებზედაც.

დამახასიათებელია ფასების დაკლება, რომელიც დაიწყეს კერძო ვაჭრებმა, რაც მაჩვენებელია იმის, რომ კერძო ვაჭრობა განიცდის შინა-ვაჭრობის კომისიის მიერ მოხდენილ დაკლების გავლენას. საბითუმო ფასების შემცირების შემდეგ საფეიქრო ვაჭრობაში (საფეიქრო სინდიკატის ტფილისის განყოფილებაში), კერძო ვაჭარს ეცლება სტიმული შეისყიდოს საქონელი უშუალოდ მოსკოვში, ვინაიდან უფრო სასარგებლოა იგივე საქონელი იყიდოს ტფილისში.

ფასების დაკლებამ გააცხოველა ვაჭრობა, მაგ. ნავთით ვაჭრობაში: ტფილისში ფასების დაკლებამდე ნავთი იყიდებოდა (დეკემბერში) დღეში საშუალოდ 1.000 ფუთი, ხოლო დეკემბრის შემდეგ—2.000 ფ.

საქონლის მიწოდება სოფლისათვის.

ამ ჟამად შინა-ვაჭრობის უახლოეს ამოცანას შეადგენს სოფლისათვის საქონლის სასწრაფოდ მიწოდება. საქმის მთელი სიმძიმე დაევალება კოოპერაციას. ამიტომ კოოპერაციის გამაგრება და მისი საოპერაციო მოქმედების უკეთესი პირობების შექმნა მეტად მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. გარდა იმ კამპანიისა, რომელიც პარტიულმა ორგანოებმა უნდა აწარმოვონ კოოპერაციის გაჯანსაღებისათვის, შინა-ვაჭრობის კომისიის მიერ შემუშავებულია და ნაწილობრივ ტარდება მთელი რიგი სხვადასხვა ზომებისა, მაგ. საბანკო კრედიტის პირობების შემსუბუქება, ბანკების მიერ მიმდინარე ანგარიშების გახსნა ჩერვონცების აღრიცხვით, სავაჭრო კრედიტის გაფართოება და სხვ.

სიმინდის ექსპორტი.

იმ ზომებთა შორის, რომლებიც მიღებულია ეგრედ-წოდებულ „მაკრატლის“ ქვედა წვერის ასაწევად, აღსანიშნავია სიმინდის ექსპორტი საზღვარგარეთ. დასავლეთ საქართველოს გლეხკაცობას დარჩა სიმინდის მარაგი მილიონ ნახევარი ფუთი, რომელსაც გასავალი არა ჰქონდა. ა. ქ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ, შინა-ვაჭრობის კომისიის წინადადებით, მიანდო ცეკავშირს მოაწყოს სიმინდის შესყიდვა უშუალოდ გლეხკაცებისაგან, საზღვარ-გარეთ გასატანად. დამზადებას აწარმოებენ კოოპერატივები. დასამზადებელი ფასი ფუთზე დანიშნულია 50 კაპ. ოპერაციის წმინდა მოგება, რეალიზაციის შემდეგ, გადაირიცხება საგანგებო ფონდში, რომლის დანიშნულება იქნება გაუწიოს დახმარება სასოფლო მეურნეობას იმ რაიონში, სადაც სიმინდის დამზადება სწარმოებდა.

გარდა მოყვანილ ზომებისა, რომლებიც უკვე ტარდება, შინა-ვაჭრობის კომისიის წინ დგას მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც მოითხოვენ ახლო მომავალში განხორციელებას. სხვათა შორის განზრახულია ფასების დაკლება ფართე მასისთვის სამარგებლო საგნებზე, როგორიცაა საპონი, შაქარი, ასანთი, რკინეულობა და სხვ. ამ ჟამად უკვე დაწყებულია გამოკვლევა როგორც ადგილობრივი ისე რუსეთის ტრესტების და სინდიკატების წარმოების მდგომარეობისა, რის შემდეგ მიღებული იქნება სათანადო ზომები. მოსაწესრიგებელია აგრეთვე ბანკების საკრედიტო პოლიტიკა და ვალიუტის ბრუნვის საკითხი და ბოლოს კერძო ვაჭრობის მოწესრიგება.

მენშევიკის წერილი

ნიღაბი მოვიხსნათ!

(დასასრული*)

დადგა 1923 წელი. ჩემი კავშირი ცენტრალურ კომიტეტთან არ შეწყვეტილა, ვმუშაობდი შეძლებისდაგვარად, ტფილისიდან რეგულიარულად ვიღებდი „ჩვენს ერთობას“ ფურცლებს და სხვა. ვავრცელებდი ბორჯომში, ვანაწილებდი ახალციხეში, ახალქალაქში, ვცდილობდი ამემაღლებია მასის სულიერი განწყობილება, რისთვისაც ვავრცელებდი იმავე რადიო-ჭორებს, ერთი სიტყვით ატმოსფერას ვჟღენთავდი პოლიტიკური „ახალი ამბებით“, რომლებსაც ვიღებდი ტფილისიდან.

ევროპიდან მოდიოდა ცნობები, რომ მუშებმა დაიწყეს გავლენის მოხდენა რ. კ. პარტიაზე ჩვენი საკითხის გადასაჭრელად.

მთელ პოლიტიკას აშენებდენ იმედზე გარედან დახმარების შესახებ. დაიწყო ძველი სიმღერა რუსეთის ინტერვენციის შესახებ. ანტანტის მიერ, ამიერ-კავკასიის—ოსმალეთის მიერ, ერთის მხრით პოლონეთსა და რუმინეთს და მეორეს მხრით რუსეთს შორის მოსალოდნელ შეტაკების, ისევ ლოზანის კონფერენციის, სოციალისტური კონგრესების და სხვ. შესახებ.

კერზონის ულტიმატუმმა თითქოს გაამართლა ჩვენი იმედები, ფრთები შეგვასხა ჩვენ, ყველანი ფიქრობდენ: „აი, დაიწყება ომი, ზეგავლენას მოახდენენ ყველანი რუსეთზე, რომელშიც „ყველაფერი რიგზე არ არის“, ლოზანას კონფერენციას შემდეგ აიძულებენ ქემალს გაილაშქროს საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, გასწმინდოს ამიერ-კავკასია წითელი არმიისაგან, ჩვენც დავიწყებთ „მუშაობას“ შიგნით და ამრიგათ გავნთავისუფლდებით, ვიქნებით დამოუკიდებელი, რის გარანტია მოგვცა ანტანტამ და ამიერ-კავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკების მთავრობების და ხელმძღვანელ პარტიების შეთანხმებამ“. ამ და მთიელთა რესპუბლიკების მცხოვრებთა აჯანყებისათვის მუშაობა გრძელდებოდა. კერძოთ საქართველოში ამ მუშაობამ ინტენსიური ხასიათი მიიღო გაზაფხულიდან. ეს აიხსნებოდა იმით, რომ „ჩვენები“ ევროპიდან იტყობინებოდენ, რომ არ უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ გარედან დახმარების იმედს, უნდა ვემზადოთ თვითონ, ხელში ჩავიგდოთ ძალა-უფლება და ამით მომხდარი ფაქტის წინაშე დავაყენოთ ევროპა.

მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა რაიმე იმედის დაჭერა ანტანტის, პოლონეთის მხრივ და სხვა.

ამრიგათ სულ სხვა ენით ალაპარაკდენ. ეს იყო შუა ზაფხულში. მართლა, ჩვენი იმედი „გარედან“ დახმარების შესახებ არ ხორციელდებოდა, ჩვენ დავკარგეთ ნიადაგი, გავლენა მასაზე, რომელმაც თანდათანობით დაჰკარგა ჩვენი იმედი.

საქართველოდან რუსეთის წითელი არმიის წასვლის მაგიერ, დაიწყო ჩვენი პარტიისაგან მისი უბრალო წევრების—მუშების, გლეხების და ინტელიგენციის ნაწილის ჩამოშორება.

ჩვენი პარტიის დაშლის პროცესი დაიწყო და საჭირო იყო მისი შეჩერება. ამ მიზნით ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა თავის აქტიურ თანამშრომლებს გამოსულიყვნენ სამაზრო კონფერენციებზე ჩვენი პარტიის კონტრ-დეკლარაციით, ჩაეშალათ კონფერენციები.

ხალხში გაუშვეს ისევ ნაცნობი ხმები—საქართველოს განთავისუფლების იმედები, რომელსაც უკავშირებდენ გერმანიის საკითხის დაბოლოვებას. გაცხოველდა პროვინციაში პარტიული მუშაობა, მაგრამ იმისდამიხედვით, თუ როგორის ტემპით მიმდინარეობდა ჩვენი პარტიის დაშლა, ნათელი იყო, რომ მას არაფერი უშველიდა.

ც. კომიტეტში იდგა საკითხი აჯანყების შესახებ, ეს პირველი მნიშვნელობის საკითხად ითვლებოდა. საქართველოს ყველა კუთხეებიდან ჩვენი ორგანიზაციების პასუხისმგებელ მუშაკებისაგან, როგორც არა ერთხელ უთქვამს ჩემთვის ამხ. ნ. ხომერიკს, მოდიოდა ინფორმაცია, რომელიც მოწმობდა, რომ ხალხი მზად არის საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლისათვის.

1923 წლის ზაფხულში მე ვმსახურებდი ტფილისში მიწათმოქმედების კომისარიატში. თანამდებობის გამო, მე მიხდებოდა საქართველოში მოგზაურობა. ამხ. ნოე ხომერიკმა იცოდა ეს, იცოდა მან ისიც, რომ მე—როგორც სახალხო გვარდიის ბორჯომის რაიონის და მესხეთ ჯავახეთის საოლქო შტაბის თავმჯდომარე, ამ მხარის მკვიდრი—ვიცნობდი ყველა ეროვნების მცხოვრებთ, ადგილობრივ პირობებს, ვსარგებლობდი ავტორიტეტით, ხალხის და გვარდიის განუსაზღვრელი ნდობით და სიყვარულით.

სექტემბრის შუა რიცხვებში დამიბარა მან (მანამდი მე მასთან სამჯერ ვიყავი პარტიული საქმეების გამო) და პარტიული დისციპლინის ძალით წინადადება მომცა გავმგზავრებულიყავი ბორჯომ-ახალციხ-ახალქალაქში, გზაში გამევლო—გორში და ხაშურში.

მე დამევალა შემდეგი ამოცანა:

1. პარტიულ კომიტეტებთან შემექმნა სამხედრო კომისიები, ყველაზე უფრო საიმედო, კონსპირაციის დაცვის შემძლე ამხანაგებისაგან; 2) მათი დაკავშირება ერთმანეთთან; 3) დამევალებია ამ კომისიებისათვის, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში მოეწყოთ რაზმები ჩვენი ამხანაგებისაგან, პარტიისათვის გულწრფელათ თანამგრძნობ პირებისა და სახალხო გვარდიელებისაგან; 4) აღმერიცხა იარაღი, თუ ასეთები მოეძებნებათ მათ, მოხალისეები იარაღით და უიარაღოთ, 5) გამომერკვია მოწინააღმდეგეს რიცხვი, 6) დამეკავშირებია ჩვენი სამხედრო კომისიები ნაციონალ-დემოკრატების ასეთივე კომისიებთან, რომლებიც ჩვენთან, სრული კონტაქტით მოქმედებდენ, 7) გამომერკვია: 1) მცხოვრებთა (ქართველების, სომხების და მუსლიმანების) დამოკიდებულება ურთიერთშორის, ხელისუფლებისადმი, ქემალისტებისადმი, რომლებიც ახალციხეს და ახალქალაქის მაზრების საზღვარზე იმყოფებიან 2) არალეგალურ პარტიების დამოკიდებულება ურთიერთშორის, თუ ასეთები ამ მხარეში არსებობენ.

მთელი ეს მუშაობა უნდა დამესრულებია ოქტომბრის დამლევისათვის.

სოფლათ მუშაობის დასრულების შემდეგ განზრახული იყო აჯანყების დაწყება მთელს ამიერ-კავკასიაში, რომლის წინ, ნოე ხომერიკის სიტყვით, უნდა მომხდარიყო პოლონეთის გამოსვლა რუსეთის წინააღმდეგ, ანტანტა ულტიმატუმს გამოუგზავნიდა რუსეთს სამხედრო ვალების გადახდის შესახებ და დაიწყებოდა გლეხების მღელვარება რუსეთის შიგნით. ყველა ეს ამბები მიიპყრობდენ მოსკოვის მთელ ყურადღებას და ამით საშუალებას წაართმევდენ მას გამოეგზავნა ჯარები ამიერ-კავკასიაში. აჯანყება უნდა დაწყებულიყო ერთდროულათ. მესხეთ ჯავახეთში და გორის მაზრის ნაწილში აჯანყების დაწყება და ხელმძღვანელობა დამევალა მე.

ვკითხე მე ამხ ნოეს იმ საფრთხის შესახებ, რომელიც მოელოდა 1918 და 1919 წლებში ოსმალეთის ურდოების და ჩვენთვის კარგად ცნობილი ფეოდალის სერვერბეგ ათაბეკოვის ბანდის მიერ მრავალჯერ აწიოკებულ მესხეთ-ჯავახეთს მათ მხრით; მაგრამ მან დამამშვიდა და მთხოვა გადამეცა მცხოვრებლებისათვის, რომ ქემალისტები საქართველოს არ უცქერიან მტრულად, პირიქით, აღიარებენ რა მის იურიდიულად ცნობას, გვპირდებიან დახმარებას რუსეთის წითელი არმიის საწინააღმდეგო ბრძოლაში იარაღით და საომარი მასალებით.

მე ვფიქრობ, რომ სერვერბეგი, რომელსაც ახალციხის და ახალქალაქის მაზრაში ჰქონდა დაახლოვებით 55 ათასი დესიატინა მიწა აუარებელი სახლები, ბაღები და სხვ. ქონება, უსათუოდ მოინდომებს ჩვენი სამოქალაქო ომის გამოყენებას და ერთხელ კიდევ თავისი ბანდებით შემოიჭრება ჩვენს საზღვრებში და ცეცხლსა და მახვილს მისცემს ჩვენს გაწამებულ მესხეთ ჯავახეთს. წარსულის გაკვეთილები ყველასთვის დაუვიწყარია! მაგრამ რა უნდა გვექნა, უნდა დაგვეჯერებია ამხ. ნოესათვის. ამ წინასწარი მუშაობის შემდეგ მე უნდა შევსულიყავ მასთან, მიმეღო საბოლოო დარიგებები, დირექტივები, მოქმედების გეგმა, დამეტოვებია ჩემი სამსახური, გავბრუნებულიყავი უკან და მეცადა სიგნალისათვის. ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის ქართლის ორგანიზაციასთან კავშირის დასაჭერად მან გამგზავნა წერილით პარტიული კომიტეტის წევრთან და ნაც.-დემოკრ. ცეკას სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელთან, „ლექსოსთან“ (გიორგი წინამძღვარიშვილის ზედმეტი სახელი) მას შევხვდი ორი დღის შემდეგ, მივიღე პაროლი და ნახვის ნებართვა ქართლის სამხედრო ორგანიზაციაში მისასვლელად. მე დამრჩენიყო მხოლოდ წასვლა, მაგრამ ხომ ვმსახურობდი, ხოლო ეხლა სამსახურის დატოვებას ამხ. ნოე არ მირჩევდა. საჭირო იყო მივლინების მიღება; მე ვიყავი კომისარიატის რწმუნებული სასოფლო სადგილ-მამულო კომისიებისათვის ინსტრუქციების მიწოდებისათვის. კარგად ვიცნობდი აგრეთვე გადასახლების საქმესაც; ვიცოდი ისიც, რომ აუარებელი თხოვნები იმ პირთა, რომლებსაც სურდათ გადასახლება ახალქალაქის მაზრაში (მთხოვნელები იყვნენ სხვადასხვა მაზრებიდან დაახლოვებით 1000-დე), განუხილველად იდვა კომისარიატში, ხოლო ამავე დროს გადასახლების შესახებ მრავალი წერილები იწერებოდა; მეც ავიღე და მოვათავსე შენიშვნა „რაბოჩაია პრავდა“-ში, რასაკვირველია სხვა გვარით. ამ შენიშვნისათვის ანგარიში რომ არ გაეწია კომისარიატს არ შეიძლებოდა და ამას შედეგად მოჰყვა განკარგულება, რომლითაც მე მეძლეოდა მივლინება ახალციხის, ახალქალაქის და გორის მაზრებში იმ სოფლების დასათვალიერებლად, საიდანაც გადმოსახლება სურდათ (მსურველები იყვნენ 27) და იმ თავისუფალ ადგილების რაოდენობის გამოსარკვევად, რომლებიც გამოდგებოდენ დასასახლებლად.

ამრიგად მე გავემგზავრე. გზაში გავიგე, რომ ჩვენ გორის პარტიული ორგანიზაციის დაპატიმრების გამო ქალაქში და მაზრაში შემოღებული იყო რეპრესიები და რომ ის პირი, რომელთანაც მე გამგზავნა „ლექსომ“, იქ აღარ იყო; ამიტომ მე გორში ჩავედი მხოლოდ სამსახურის საქმისათვის, დავათვალიერე ჩვენი ყოფილი ამხანაგის, ეხლა ყოფილ მენშევიკების ბიუროს წევრის ნესტორ ქერეჩაშვილისათვის ჩამორთმეული მიწები და წავედი ბორჯომში. ჩემი რაიონი მე მოვიარე 27 დღის განმავლობაში და გავაკეთე ცოტა რამ ცეკას ორგანიზაციული განყოფილების გამგის ამხ. ხომერიკის მიერ მიცემულ დავალებების დარგში. დაუახლოვდი რა საქმეს, გავიცანი რა მასების განწყობილებას, მე დავრწმუნდი იმაში, რომ ბეგები და მათი სულის ჩამდგმელი სერვერ აღაბეგოვი მუშაობდენ; მოხერხებულ დროს ისინი მასიურად თავსდაესხმიან ჩვენს გლეხობას განურჩევლად ეროვნებისა. მათ ხომ გლეხობამ ჩამოართვა ქონება; ბუნებრივია, შურისძიების გრძნობა მათში არ ჩამქრალა.

მათ მოაქვთ დაღუპვა და გაჩანაგება მშრომელთათვის. მაგონდება მე მახლობელი წარსული უბედურ ჯავახელთა ცხოვრებიდან. რამდენჯერ დაურბევიათ ისინი ოსმალეთის ბანდებს და ჯარებს.. ვინ არ იცნობს ბაკურიანის მაღლობებს, რომლების 1918 და 1919 წლებში წარმოადგენდენ გადმოხვეწილ სომხების და ქართველების პირდაპირ სასაფლაოს? ამ შთაბეჭდილებით მოვემგზავრები მე ოქტომბრის დასასრულს ტფილისში. გზაში გავჩერდი ხაშურში, ქალაქის მახლობლად ვინახულე ვასო კასრაძე, „ბერი“-ს ერთ-ერთი ამხანაგი. გამოირკვა, რომ კასრაძე ზაფხულში ამხანაგებმა გამორიცხეს მათი წრიდან, იხეტიალა მან რამოდენიმე ხანს მარტო, ხოლო შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ბანდას, რომელიც მაშინ შესდგებოდა 15—16 კაცისაგან.

მათ მიმართ მე მქონდა უკვე გარკვეული დირექტივები: მომავალში გამოყენება მათი, როგორც ყოფილ სახალხო გვარდიელების, საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო ბრძოლაში, ხოლო ჯერ კი მათთვის აკრძალვა გამოსვლების, ტერორისტული აქტების მოხდენის და მით უფრო მცხოვრებლების ძარცვის; მე უნდა მეპოვნა მათვის თავშესაფარი ჩვენს რაიონში, დამებინავებინა პატარ-პატარა ჯგუფებად თითქმის თითო-თითოთ სოფლებში, სადაც კი შესაძლებელი იქნებოდა; განზრახული იყო ახალციხის მაზრის საზღვარზე. ქემალისტების სოფლები, რომლებიც მდებარეობენ ახალციხიდან 10—12 ვერსის მანძილზე, სიამოვნებით ღებულობენ ჩვენგან გაქცეულებს. იქ უნდა გამეგზავნა მე ცეკას ინსტრუქტორის ამხ. გენის (მე და ის ერთად ვიყავით ამხ. ნოესთან აგვისტოში) წინადადებით გოგია ლონტის ბანდა, რომლის გულისთვის გურია განიცდიდა საშინელ რეპრესიებს. საჭირო შემთხვევაში ამ ბანდებს დაუყოვნებლივ შეეძლოთ გადმოსვლა ჩვენს რაიონებში და გურიაში. გურიიდან აბასთუმანისაკენ გზა მოდის უღელტეხილით. შემოდგომის დღეს თავისუფლად შეიძლება ამ გზის გავლა 12-14 საათში კასრაძეს ველაპარაკე 15-20 წუთი, შემდეგ გამოვეთხოვე და შევპირდი შემეტყობინებინა ტფილისიდან მისი ჩვენ რაიონში გადმოყვანის შესახებ; ამავე დროს გავაფრთხილე, რომ ძარცვის ხელისუფლების წინააღმდეგ თვითნებური გამოსვლების და მკვლელობების შემთხვევაში რამაც შეიძლება გამოიწვიოს რეპრესიები გლეხობასადმი, ორგანიზაციები თვითვე მიიღებენ ზომებს მათ წინააღმდეგ. ჩამოვედი ტფილისში 4 ნოემბერს, ხოლო 9 ნოემ. გავემგზავრე ამხ. ნოესთან ჩემს მიერ გაწეულ მუშაობის შესახებ მოხსენების გასაკეთებლად და შემდეგი ინსტრუქციების მისაღებად. ბინაზე ის მარტო ვნახე, დავუწყე მას საუბარი; არ გასულა 15—20 წუთი, რომ ოთახში შემოვიდენ საგანგებო კომისიის („ჩეკა“) თანამშრომლები, დაგვაპატიმრეს ორთავე და მოგვიყვანეს აქ. ვათავებ რა ამ მოკლე წერილით ჩვენი პარტიის და მისი უმაღლესი ორგანოს—ცეკას მუშაობის გამომჟღავნებას, ამის შემდეგ არავის არ შეუვა ეჭვი ჩვენი ტაქტიკის ავანტიურისტობაში, რომელიც მდგომარეობდა და მდგომარეობს:

1) **აჯანყების მოწყობაში.**
2) **კავშირში ფაშისტთან, ნაციონალ დემოკრატებთან, ბანდებთან და ქართველი საზოგადოების ყოველგვარ ნაძირალებთან.**
3) **ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოების საქართველოში ინტერვენციის იმედში.**
4) **მასების თვალების ახვევაში აშკარათ ყალბი იმედებით და**
5) **ხელისუფლებასთან ბრძოლაში ყოველგვარი საშუალების გამოყენებაში.**

მე გავიგე, რომ ჩემს შემდეგ სურთ გამომჟღავნებით გამოსვლა ზოგიერთ ამხანაგებს—ცეკას აქტიურ თანამშრომლებს, რომლებიც იმყოფებიან ჩეკაში, მაგრამ ეშინიათ შურისძიების. გაბედულათ ამხანაგებო, რევოლიუციონერი არ უნდა შეაშინოს სიკვდილმა! დროა თქვენც მართალი სთქვათ ბერი! („ბერი“—ზედმეტი სახელია ერთ ერთი ამხანაგის), რიგი თქვენზეა!

მაშასადამე, მზადდებოდა აჯანყება, ვფიქრობდით გამოსვლას ნაციონალ დემოკრატებთან —ამ ჩოლოყაშვილის, გვარდწითელის ბანდების სულის ჩამდგმელებთან ერთად, არსებობდა პარიტეტული კომიტეტი, რომელსაც სათავეში ედგენ ჩვენი ცეკას ხელმძღ ლვანელები და ნაციონალ-დემოკრა ტების ცეკას წარმომადგენლებ სწარმოებდა გაფაციცებული მოს მზადებელი მუშაობა, მუშაობა ვაბამდით ქალაქ ტფილისში ქართველის დივიზიის ნაწილ (მუშებზე, ამხ. ნოეს სიტყვით, ლებად შეიძლებოდა იმედის დამყ რება), ინტელიგენციის ნაწილს, რ თვლის პროსპექტზე მოხეტია ოფიცრობას, თავადებისა და აზნ რებისაგან, მეშჩანების ნაწილს, რების და სხვ. სახით. და ნუთუ ლაფერი ეს არ იცოდა ამხანაგმა ითმა?

მას შეეძლო არ სცოდნოდა წვრ მანები ცეკას მუშაობიდან, მა საკითხები ინტერვენციის, აჯან შესახებ, რომლებთანაც დაკავ ბული იყო საქართველოს ბედ-ღბ ითვლებოდენ პირველხარისხო ალბად მრავალჯერ ირჩეოდა პლენუმის მიერ, ხოლო ამიტომ სეითს—ცეკას თავმჯდომარეს სცოდნოდა. თუ ერთი წუთით და ვებთ, რომ ამხ. სეითმა ჟორ არ იცოდა ის, თუ რას აკეთებ მისი ამხანაგები—ცეკას წევრები მერიკი, ფილავა, ძაძამია, მეტად სუხისმგებელი რწმუნებულები კობა და სხვ., რომლებიც დავალ ბებს გვაძლევდენ მე და აქტი თანამშრომლებს, რომელთაც ვგზ ნიდენ პროვინციაში, მაშ გამო ისე, რომ ჩვენ—პროვინციალის საქმე გვქონდა არა ჩვენი პარტ უმაღლეს ორგანოსთან, რომლის ხელითაც ისინი გველაპარაკებო ჩვენ, არამედ ავანტიურისტების ო განიზაციასთან. და თუ ეს ასეა, სეითის წმინდა ზნეობრივი მო ლეობაა, უთხრას მშრომელებს, რ ლებიც ყურს უგდებენ მას, ენრიში სრული ჭეშმარიტება და მით იხს გზააბნეულები საბოლოო დაღუპ საგან.

დროა გამოვიჩინოთ პირდაპირობა და გულწრფელობა!

ნაკლები სიტყვა, ნაკლები მოკიბული აზრი!

მეტი საქმე! ნუ დავკარგავთ ძვ ფას დროს „ახალი გზების“ ძებნაშ

ვანო ხმალაძე

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 10.

დისკუსია უკრაინის რესპუბლიკაში

სადისკუსიო წერილებში ხშირად საკითხები ისე იქსაქსება და წვრილმანდება, რომ მხოლოდ მშვიდობიან პირობებში არის შესაძლებელი ყველა კონკრეტულ წინადადებათა ჯამის გაკეთება. ამჟამად ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ორ დებულებას, რომლებიც, როგორც სჩანს, ხშირად იხსნება უკრაინის დისკუსიაში და რომლებსაც სპეციალურ მეთაურებს უძღვნიან.

პირველი საკითხი შემდეგია: სად არის იმის გარანტია, რომ შინაპარტიულ დემოკრატიის კურსი გატარებული იქნება დაუყოვნებლივ უახლოეს მომავალში. მეორე საკითხი მდგომარეობს ცალკე ამხანაგების მიერ თავისი თავის, როგორც „დამოუკიდებელ პარტიულ აზრის“ გამომხატველთა, დაპირდაპირებაში პარტიის დანარჩენ ნაწილთან, რომელიც მოცულია ყურმოჭრილ სამსახურის და კარიერიზმის სენით.

„უკრაინის კომუნისტ“-ი დაწვრილებით ეხება თვითეულ ამ საკითხს. უნდა ითქვას, რომ პირველი საკითხი აღძრული იყო ტროცკის მიერ მისი ცნობილ წერილში „ახალი კურსი“. ამ წერილში მან აღნიშნა, რომ საკითხის ისე დაყენება, თითქოს პარტიული დემოკრატიის გატარება დამოკიდებულია პარტიის წევრთა განვითარების დონეზე, შეუძლებელია. ამ განცხადების შემდეგ კი ტროცკი აყენებს კითხვას: მაშ ვინ უნდა განახორციელოს ახალი კურსი?. საკითხის ასეთი დაყენებას ძლიერ დაუინტერესებია უკრაინის კომპარტიის ბევრი ამხანაგი.

ამ კითხვაზე „კომუნისტ“-ი პირდაპირ პასუხს იძლევა:

„ჩვენ პირდაპირ ვამბობთ, რომ ამის ერთად ერთ აბსოლიუტურ გარანტიას წარმოადგენს მხოლოდ ნდობა ჩვენი პარტიის ცენტრალურ დაწესებულებისადმი. იქ, სადაც ასეთი ნდობა არ არსებობს, ვერავითარი ქაღალდზე დაწერილი გარანტია ვერ უზრუნველჰყოფს დასახულ პარტიულ კურსის განხორციელებას“.

შემდეგ „კომუნისტ“-ი აღნიშნავს, რომ ის პირები, რომლებიც ასე აყენებენ საკითხს, ფაქტიურად უნდობლობას უცხადებენ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და რომ ასეთი მსჯელობა არის შინაპარტიულ კრიზისის გამოწვევის ცდა.

„უკრაინის კომუნისტი“ არ კმაყოფილდება ამ აბსოლიუტურ გარანტიის აღნიშვნით და ამბობს, რომ არსებობს კიდევ ორი გარანტია იმისა, რომ პარტია არ გადასცდება პოლიტბიუროს მიერ გამომუშავებულ კურსს.

„პირველი გარანტია არის მთელი პარტიის ძლიერი ნებისყოფა, რომ შინაპარტიულ დემოკრატიის პრინციპები გატარებულ იქნან ჩვენს ორგანიზაციებში. მხოლოდ ის პარტია, რომელსაც, გარდა დისკუსიისა, შეუძლია აგრეთვე მოქმედება და თავის დადგენილებების სისრულეში მოყვანა, შესძლებს შექმნას ნამდვილი და არა მხოლოდ ნაწერი გარანტიები ერთხმად მიღებულ პარტიულ კურსის გატარებისთვის. როდესაც დისკუსიის მიერ გამოწვეული ვნებათა ღელვა დამშვიდდება, ჩვენი პარტიის ცენტრალური და საგუბერნიო ორგანოები მიიღებენ, თანახმად პოლიტბიუროს 5 დეკემბრის დადგენილებებისა, ზოგიერთ პრაქტიკულ ზომებს, რომლებითაც ყრილობის მოწვევამდე შეტანილი იქნება შინაპარტიულ ცხოვრებაში ზოგიერთი ცვლილება.

მეორე გარანტიას, ჩვენის აზრით, წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი დაწესებულებები დისკუსიის დროს სცდილობდენ სისწორით აღენიშნათ შინაპარტიულ დემოკრატიის განხორციელების ფარგლები და მით მოაცილეს დისკუსიას გადაჭარბების და უტოპიზმის ელემენტები, რომლებიც სჩვევია ზოგიერთ ჩვენს ამხანაგს!!

ეხება რა იმ აზრს, თითქოს პარტიის ძველ წევრებს არ შეუძლიათ გაატარონ ახალი კურსი, „კომუნისტი“ სწერს:

„ამ აზრში ჩამარხულია შინაპარტიულ დემოკრატიის და ბურჟუაზიულ საპარლამენტო დემოკრატიის ცნებათა გასაოცარი შერევა.

ასეთ ამხანაგებს შინაპარტიული დემოკრატია წარმოუდგენიათ როგორც სამინისტრო კაბინეტების სისტემა, რომელშიც ყოველ კაბინეტს შეაქვს პარტიულ პოლიტიკაში თავისი „ინდივიდუალური“ ტენდენციები. მათ ჰგონიათ, რომ ჩვენი პარტია უნდა წარმოადგენდეს საპარლამენტო დემოკრატიას, რომელშიაც ყოველ ჯგუფს აქვს თავისი პროგრამა და რომლებიც ყოველგვარ საშუალებით იბრძვიან ამ პროგრამების განხორციელებისათვის“.

რასაკვირველია, ასეთი გასაოცარი წარმოდგენა ჩვენი პარტიის შესახებ შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ წვრილბურჟუაზიულ „მეშჩანობით“ გამსჭვალულ პირებს.

და აქ ჩვენს წინაშე სდგება პარტიის ფარგლებში პიროვნებათა დაპირდაპირების საკითხი.

„რომ მოუსმინოთ ზოგიერთ ახალგაზრდა ამხანაგს ჩვენს კრებებზე,—სწერს „კომუნისტი“,—ისეთი შთაბეჭდილება დაგებადებათ, თითქოს ჩვენს პარტიაში ერთად ერთ გაბედულ ელემენტს წარმოადგენენ ის ამხანაგები, რომლებიც ეხლა, მას შემდეგ, რაც პოლიტბიურომ 5 დეკემბრის რეზოლიუციით უკვე აღიარა შინაპარტიულ დემოკრატიის შემოღების საჭიროება, ყველაზე უფრო ხმა-მაღლა აცხადებენ თავს „ახალი კურსის“, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით, მომხრეებათ.

აქაც „კომუნისტ“-ს უხდება პარტიისა და მისი პოლიტიკის მთლიანობის უბრალო საკითხის განმარტება.

„ჩვენი პარტია ყოველთვის ძლიერი იყო მით, რომ მას შეეძლო პრეტენციოზულ და ინდივიდუალისტურ ფიგურების გადაგრეხა და მკაცრ პარტიულ დისციპლინისადმი დამორჩილება.

პარტიის წევრად ყოფნა ნიშნავს არა მარტო თავისი სიცოცხლის შეწირვის უნარს სამოქალაქო ომის ფრონტებზე, არამედ, აგრეთვე, საკუთარ პიროვნების პარტიის ინტერესებისათვის შეწირვის, პარტიულ გადაწყვეტილებათა კალაპოტში ჩადგომის უნარს. იგი მოითხოვს წვრილბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმის ყველა თვისებების ამოფხვრას ისე, რომ საწყენათ არ დაგრჩეს ისტორიის და ხალხის წინაშე მუშათა კლასის რიგებში ამა თუ იმ უჩინარ ადგილზე დგომა“.

უნდა ითქვას, რომ უკრაინაში, სადაც დიდხანს თარეშობდა წვრილბურჟუაზიული ანარქიზმი, განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობებია პარტიაში დამოუკიდებელ პიროვნებების გაჩენისათვის. ამ მოვლენამ მახინჯი ფორმა მიიღო პარტიულ „ატამანშჩინა“-ს სახით, რის წინააღმდეგ თავის დროს ენერგიულათ ილაშქრებდა ჩვენი პარტიის ც. კ-ტი.

„ჩვენი პარტია,—სწერს „კომუნისტ“-ი—ყოველთვის ვიწრო იყო იმ „კრიტიკულათ მოაზროვნე“ პიროვნებებისთვის, რომლებიც ფიქრობენ, რომ დიდ ბედნიერებას ანიჭებენ მუშათა კლასს თავისი მონაწილეობით მუშათა პარტიაში“.

და სწორეთ ასეთ პირთა არსებობა და უნდობლობა ც. კ—სადმი, რომელიც გამოიხატება კითხვაში,—სად არის იმის გარანტია, რომ ც. კ. გაატარებს შინა—პარტიულ დემოკრატიას,—აი ასეთი პირობები ამზადებენ პარტიის შინაგან კრიზისს. ხოლო კრიზისი ორგანიზაციის შიგნით აუცილებლათ გამოიწვევს პოლიტიკურ კრიზისსაც და ამის გამო „კომუნისტ“-ი დასძენს:

„მხოლოდ უპასუხისმგებლო პირები ვერ ამჩნევენ ამას. ყოველი მოვლენა ჩვენი შინაპარტიულ ცხოვრებაში აუცილებელ გავლენას ახდენს ქვეყნის საერთო პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ამიტომაც არავის არ ურჩევთ „კრიზისით“ თამაშს. ცეცხლით თამაში დაუშვებელია.

ჩვენი რევოლიუციონურ მონაპოვართა შენარჩუნების პირველ და აბსოლიუტურ პირობას წარმოადგენს პარტიის მთლიანობა, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს ეს!“

პროფკავშირებში

აჭარისტანის პროფსაბჭოში

აჭარისტანის პროფსაბჭოს სამდივნომ შუამდგომლობა აღძრა ფინანსთა სახალხო კომისარიატის წინაშე, დააჩქაროს მუშათა რაიონებში მშრომელთა შემნახველი სალაროების გახსნა, რათა საშუალება მიეცეს მუშა-მოსამსახურეებს საჭიროებას გადარჩენილი თანხა ჩერვონეცის ანგარიში სალაროებში შეინახონ.

სამეცნიერო ტეხნიკურ ძალთა ბიურო. აჭარისტანის პროფსაბჭოს სამდივნომ დაადგინა დაარსოს პროფსაბჭოსთან სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა ცენტრალური ბიურო.

მბეჭდავთა კლუბი. მბეჭდავთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ დაადგინა მოაწყოს საკუთარი კლუბი ვიდრე ახალი შენობა გამოინახებოდეს. გადაწყვეტილია, გაძლიერდეს და გაფართოვდეს საკლუბო მუშაობა ძველ შენობაში. მიზანშეწონილად არის ცნობილი აგრეთვე პროფკავშირთა კლუბში საღამოების, ლექციების და წარმოდგენების მოწყობა.

ჭიათურის სამაზრო პროფბიუროს პლენუმში.

ჭიათურის სამაზრო პროფბიუროს გაფართოებულ პლენუმზე მოსმენილ იქნა ბიუროს პასუხისმგებელ მდივნის მოხსენება ბიუროს მოქმედების შესახებ, რომელიც დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი.

უმუშევრობა ჭიათურაში. ჭიათურის სამაზრო პროფბიუროს პლენუმმა წინადადება მისცა შრომის ბირჟის ადგილობრივ განყოფილებას დაუყოვნებლივ შეუდგეს პროლეტარულ ჩამომავლობის უმუშევართა აღრიცხვას ხსენებული აღრიცხვა ტარდება უმუშევარ პროლეტართა რაოდენობის გამოსარკვევად, რათა მათთვის მოაწყოს უფასო სასადილო..

კულტფონდი. ჭიათურის ბიუროს პლენუმი სამაზრო პროფბიუროსთან ცალკე კავშირების კულტფონდის გაერთიანების წინააღმდეგია.

პლენუმმა გადასწყვიტა კავშირი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ხელმძღვანელობის ცენტრად გახადოს პრობიურო.

კოოპერატიულ სასადილო ჭიათურის სამაზრო პროფბიუროს პლენუმმა შუამდგომლობა აღძრა სამაზრო აღმასკომის წინაშე, რათა დაიხუროს ქალაქის მუშათა რაიონებში ტრაქტირები, რომელთა ნაცვლად გადაწყვეტილია მოეწყოს კოოპერატიული სასადილო (წითელი ყავახანა.)

ქიმიკოსების საქალაქო კრება.

საურთიერთო დახმარების სალაროს მონაწილე ქიმიკოსების საქალაქო კრებამ მოისმინა სალაროს, ბიუროს მოხსენება მისი მოქმედების შესახებ.

გასული წლის 20 ოქტომბრიდან პირველ იანვრამდე სალაროს ბიუროში შესულა 108 განცხადება სესხის და დახმარების მოთხოვნის შესახებ, ამ რიცხვიდან ბიუროს დაუკმაყოფილებია 100 განცხადება. უარი ეთქვა მხოლოდ 8 მონაწილეს ქონებრივ უსახსრობის გამო, რაც სესხის თავის დროზე გაუსტუმრებლობით აიხსნება ამჟამად სალაროს მონაწილეა კავშირის წევრთა 91 პროცენტი ქალაქის ფარგლებში.

სალაროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი. მიღებულია ახალი წესდება. გადაწყვეტილია, შემდეგისათვის სესხი მიეცეს არა უმეტეს 10 ჩერვონ. მანეთის ორი თვის ვადით იმ პირობით, რომ სესხი გადახდილ იქნეს ჩერვონეცის დღის კურსის მიხედვით. გაუნაღდებელი დახმარება მიეცემათ არა უმეტეს 5 ჩერვონეცის მანეთისა თვითეულს წევრს.

უმუშევრობა გემოკვეზის კავშირის წევრთა შორის.

სტატისტიკურ ცნობებით გასული წლის 1 დეკემბრისათვის კავშირის 2702 წევრიდან აღრიცხული იყო 625 უმუშევარი. გადაწყვეტილია საქართველოში უმუშევრობის სიმწვავის შესახებ კავშირის ცენ. კომ. საშუალებით საგუბერნიო განყოფილებებს ცნობა გაეგზავნოს, რათა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა პუნქტებიდან უმუშევართა დენა შეწყდეს.

მეცნიერება და ტეხნიკა

შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები *)

ორგანიზმის რთულ მოქმედებებს დიდი ხნის განმავლობაში ხსნიდენ ნერვიული სისტემის განსაკუთრებული გავლენით, მაგრამ ამ რამდენიმე ხნის წინათ აღმოაჩინეს ის უდიდესი როლი, რომელსაც თამაშობენ შინაგანი სეკრეციის პროდუქტები.

შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მუშაობის დარღვევა იწვევს მძიმე ავადმყოფობას და მთელი ორგანიზმის ცვლილებებს. ასე, მაგალითად, ფარისებური ჯირკვლის ატროფია ან სრულიად უქონლობა იწვევს კრეტინიზმს. რომ კრეტინს შევუხაპუნოთ ფარისებური ჯირკვლის გამონაყოფი, მისი ტანი იწყებს ზრდას, თანდათანობით იცვლება. ცხვირის, პირის და სხვ. ფორმა, უფრო გონიური გამომეტყველება ეძლევა მის სახეს. ფარისებური ჯირკვლის არანორმალური მოქმედება იწვევს აგრეთვე ქსოვილების და კიდურების შეშუპებას (ОТЕКИ), თმის დაცვენას და სხვ.

შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ავადმყოფობით აიხსნება აგრეთვე ისეთი მოვლენები, როგორიც არის აკრომეგელია—თავის ქალას გადიდება და მისი ფორმის შეცვლა, ხელისა და ფეხების ფორმის შეცვლა, ნიანტიზმი—არანორმალური ზრდა, რომლის დროსაც გრძელდება ჩონჩხის ქვედა ნაწილის ძვლები; ინფანტილიზმი—კარლიკური სიმაღლე, რომელიც ხშირად დაკავშირებულია არაჩვეულებრივ სიმსუქნესთან.

მთელმა რიგმა ცდებმა ცხოველებზე დაამტკიცა, რომ ცოცხალი ორგანიზმები, რომლებიც ჩვეულებრივ, ბუნებრივ პირობებში, რჩებიან განვითარების დაბალ საფეხურზე, სწრაფად ვითარდებიან, როგორც კი მათ საზრდოს უმატებენ ფარისებური ჯირკვლების გამონაყოფს. ასე, მაგალითად, აკსოლოტლი, რომელიც ცხოვრობს წყალით სავსე შუშაში, ინარჩუნებს თავის ლაყუჩებს. ამ წყალში რომ მივუმატოთ ფარისებური ჯირკვლების გამონაყოფი, ლაყუჩები სწყვეტენ თავის მოქმედებას, იცვლება აკსოლოტლის ტანის და კუდის ფორმა და ცხოველი ეგუება ხმელეთზე ცხოვრებას.

---

*) სეკრეცია—სითხის გამოყოფა.

ქრონიკა

— **ახალი შრომის სკოლა.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის თანამშრომლებმა თავიანთ შორის შეაგროვეს 1 მილიარდი ოთხმოცი მილიონი მან. გურიაში სოფ. გალმა მელექედურში შრომის სკოლის შენობის ასაგები ფონდის გასაძლიერებლათ.

— **საგლეხო კომიტეტების სამაზრო ყრილობა.** დღეს, 13 იანვარს, თელავში გაიხსნება გლეხკომების სამაზრო ყრილობა.

— **იაფ ფასიანი სასადილო ქართ. დივიზიის** თანამშრომელთათვის განზრახულია წითელარმიელთა ცენტრალურ კლუბთან გაიხსნას იაფ-ფასიანი სასადილო.

— **ჯანმრთელობის საქმე ქუთაისის მაზრაში.** დეკემბრის განმავლობაში ქუთაისის საბჭოთა საავადმყოფოში ირიცხებოდა 158 ავადმყოფი, გამასწორებელ სახლის საავადმყოფოში 20, სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში 31 ავადმყოფი.

— **სოციალური დაზღვევა.** მთელ ამიერკავკასიაში ამჟამად მოწყობილია 48 დამხმ. პუნქტი, აღრიცხვაზე აყვანილია 4,518 დაწესებულება. დაზღვეულია 147,267 მუშა-მოსამსახურე, მარტო საქართველოში დაზღვეულია 63,705 მუშა-მოსამსახურე.

— **დაზღვეული უმუშევრები.** დამზღვევ კასის დადგენილებით, ის დაზღვეული უმუშევარი, რომელიც ერთი თვის განმავლობაში არ გამოცხადდება და დახმარებას არ მიიღებს, მოხსნილი იქნება დაზღვეულ უმუშევართა რიგიდან და დაეკარგებათ დახმარება.

— **უმუშევართა რაოდენობა ტფილისში.** შრომის ბირჟის ცნობების თანახმად 1 იანვრისთვის ტფილისში ირიცხებოდა სულ 20,834 უმუშევარი.

— **ელექტროფიკაცია პროვინციაში.** ა | კ. კომუნ. მეურნეობის საბჭომ ახალციხის წყლით მამოძრავებელ ელექტრონის სადგურის მოსაწყობად დამატებით გადასდო 40,000 მან. ჩერ.

— **კომუნისტური უნივერსიტეტი.** ა. | კ. კომუნისტურ უნივერსიტეტში ამჟამად ირიცხება—286 სტუდენტი. მათ შორის—89 იმყოფება საერთო პედაგოგიურ ფაკულტეტზე, პარტიულ-საბჭოთა ფაკულტეტზე — 128 კაცი.

— **ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებაში.** სამშაბათს, 15 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ცენტრარქივში (ოლღას ქ. № 48) საენათმეცნიერო საზოგადოების მორიგ კრებაზე ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ წაკითხული იქნება მოხსენება: „ქვემო ქართლის ზოგადი მნიშვნელობის მქონე გეოგრაფიული ნომენკლატურისათვის ძველად“. დასწრება ყველას შეუძლია.

— **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** დღეს დილის 11 საათზე, ტფილისის პოლიტეხნიკურ სასწავლებლის შენობაში (კამოს, ყოფ. დიდიმთავრის ქ, № 70) შესდგება ინჟ. გ. ქურდიანის მოხსენება შემდეგ თემაზე: „ჩათახის ქარხნის აწმყო და შესაძლებელი მომავალი“. დასწრება ყველას შეუძლია.

— **აეროდრომი ბათომისთვის.** ა | კ. საავიაციო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა აჭარის სახ. კომისართა საბჭოს წინაშე, რათა მან ხელი შეუწყოს ბათომის და ტფილისის შორის ჰაეროპლანით მიმოსვლისთვის ჰაეროდრომის შენების საქმეში.

— **ამბულატორიული დახმარება.** დეკემბრის განმავლობაში ამბულატორიული დახმარება გაეწია 14,923 დაზღვეულ უმუშევრებს.

— **შრომის ბირჟა.** 11 იანვარს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 11 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—52. სამუშაოზე გაიგზავნა—40, მოთხოვნილება იყო—23.

— **ხუთი წლის თავზე.** კარლ ლიბკნეხტის და როზა ლიუქსენბურგის მკვლელობიდან ხუთი წლის თავის აღსანიშნავად გამოვიდა წიგნი „ხუთი წლის თავზე“. კრებულში მოთავსებულია შემდეგი წერილები: 1) რევოლიუციის წამებულთა ხუთი წლის თავზე, 2) კარლ ლიბკნეხტი ახალგაზრდობის მოწინავე მებრძოლი. 3) ლიბკნეხტი—რევოლიუციონერი და მოწამე, 4) კარლ-ლიბკნეხტი და სოციალ-გამცემლები, 5) კარლ ლიბკნეხტი—კარლ რადეკის წერილი და სხვ. წიგნი გამოცემულია საქ. ახალგ. კომკავშირის ცეკას მიერ. შეიცავს 45 გვ. და ღირს 15 კაპ.

— **„დროშა“.** სამშაბათს, 15 იანვარს გამოვა საქართველოს კომპარტიის ცეკას სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი „დროშა“ № 6. ჟურნალში მოთავსებული იქნება მრავალი ილუსტრაცია და სამხატვრო სალიტერატურო მასალა. გამომცემელი სახელმწიფო გამომცემლობა.

— **„ჩვენი მეცნიერება“.** რედაქციამ მიიღო ყოველთვიური სამეცნიერო კრებული „ჩვენი მეცნიერება“ № 6—7 (ნოემბერი-დეკემბერი), კრებულში მოთავსებულია შემდეგი წერილები: პარადოქსები ფასების ჩამოყალიბებაში—ნ ქოიავა, ადრეული სუსტ გონებიანობით შეპყრობილ ბავშვების სწავლების ცდა—სოფიო წერეთელი, სკოლა და სახალხო განათლება ძველ საბერძნეთში—ალ. წერეთელი, ქართველი ერის ისტორია (გაგრძელება—პროფ. ი. ჯავახიშვილი, უპირობული პასუხთა სიმპტომოკომპლექსის ფსიქიური მექანიზმები ისტერიის დროს—დოც. მ. ასათიანი, შენიშვნა „ვეპრები, ვეპრე“-ს შესახებ—პროფ. ახვლედიანი, ბიბლიოგრაფია, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების 1921 წლის ანგარიში. ღირს კრებული 80 კ ჩერვონცებით.

— **შეცდომის გასწორება.** წერილში „ამიერკავკასიის ბეჭდვითი სიტყვის გამოფენა“ („კომ“ № 10) სწერია: „საქართველოში აჭარასომხეთ ოსეთთან ერთად... უნდა იყოს: „საქართველოში აჭარა-სამხრეთ-ოსეთთან ერთად და სხ.

შემთხვევები.

— **დაჭრა.** 11 იანვარს, დილის 9 საათზე, სვიატოპოლკ მირსკის ქ. მდებარე სახლის № 34, პატრონი მოქ. გრიგოლ დავითის ძე ტეტუნაშვილი ბოროტმოქმედებმა სასიკვდილოთ დასჭრეს რევოლვერით იმავე ბინაზე. არაფერი წაუღიათ. კვლევა-ძიება სწარმოებს.

— **ცეცხლი.** 11 იანვარს, დილის 8 საათზე, როზენოვის ქ. № 1 კომუნისტურ უნივერსიტეტის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც მქრობელ რაზმმა ჩააქრო. მიზეზი ცეცხლის გაჩენის არის ელექტრონის მავთულის ერთმანეთზე გადახლართვა.

— **მკვლელობა.** 7 იანვარს, სოფ. ოლგინსკში (კახეთის სამილიციო რაიონი) დანიელ ფილიპეს ძე კაუხჩოვმა (14 წლის) მოჰკლა ამავე სოფლის მცხოვრები 12 წლის ბავშვი ალექსანდრე კირილოვი. მკვლელი შეიპყრეს. კვლევა-ძიება სწარმოებს.

— **ქურდობა.** 9 იანვარს, საღამოს 6 საათზე, გონჩარნის ქ. № 33, გაქურდეს მოქ. სერგო ვლადიმირის ძე ქარცივაძის ბინა, საიდანაც წაღებულია 140 ჩერვონცის ნივთები.

— **შეპყრობა.** 8 იანვარს, შეპყრობილ იქნა მოქ. არტო ივანეს ძე არუთინოვი, რომელსაც ბრალდებოდა მოქ. ტერ-ტეროვისაგან 312 დოლარის დატყუება.

დამზღვევ კასების არჩევნებისათვის

თეზისები

სოციალური დაზღვევის შესახებ

1. სოციალურ დაზღვევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მუშათა კლასისათვის. ყოველთვის, როდესაც მშრომელი, მისგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო, ჰკარგავს სამუშაო ხელფასს, განიცდის გაჭირვებას, იმყოფება მძიმე ნივთიერ მდგომარეობაში ან ავად არის—სოციალური დაზღვევა უზრუნველყოფს მას არსებობისათვის საჭირო პირობებით.

2. მუშათა კლასი დიდი ხანია იბრძვის სოციალური დაზღვევის შემოღებისათვის, მაგრამ ეს ბრძოლა ჯერაც არ დამთავრებულა სრული გამარჯვებით: ბურჟუაზიულ ქვეყნებში სოციალური დაზღვევა მხოლოდ ნაწილობრივად არის განხორციელებული.

3. რუსეთში სოციალური დაზღვევის გატარება დაიწყო 1912 წლიდან, როდესაც გამოიცა კანონი მუშათა დაზღვევის შესახებ ავადმყოფობის და დასახიჩრების შემთხვევაში. ეს კანონი ვრცელდებოდა მხოლოდ მუშათა მცირე ნაწილზე, მაგრამ ამ მცირე ნაწილსაც შესაფერისად არ უზრუნველყოფდა.

4. საქართველოში მენშევიკების სამი წლის ბატონობის დროსაც მოქმედებდა იგივე მეფის კანონი მცირედი შესწორებით.

5. მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ 1921 წ. აპრილის 2-ს თარიღით შემოღებულ იქნა სოციალური დაზღვევის სრული კანონმდებლობა. უკანასკნელის ძალით დაზღვეულ იქნენ ყველა დაქირავებით მომუშავე პირები, იმისდა მიუხედავად, თუ სად მუშაობენ: სახელმწიფო, საზოგადო, საკონცესიო, საიჯარო, კერძო წარმოებას, დაწესებულებასა და მეურნეობაში თუ კერძო პირთან.

6. საბჭოთა ხელისუფლების კანონებით, მუშას ავადმყოფობის დროს, ეძლევა ნახევარი ან ორი-მესამედი კი არა, როგორც ეს იყო მეფისა და მენშევიკების დროს, არამედ სრული ჯამაგირი. ყოველი მუშა-მოსამსახურე განთავისუფლებულია დაზღვევის გადასახადისაგან. დაზღვევის საქმესთან დაკავშირებულ ხარჯებს იხდიან წარმოება-დაწესებულებანი. დაქირავებით მომუშავე პირებს და მათი ოჯახის წევრებს ეძლევათ ყოველგვარი უფასო სამედიცინო დახმარება და საჭირო წამალი. დაზღვეულებს ეძლევათ დამატებითი დახმარებანი (ბავშვის შეძენის გამო და უკანასკნელის საკვებათ, ოჯახის ავადმყოფ წევრის მოსავლელად, გარდაცვალებულის დასამარხავად და სხვ.). უმუშევარნი და ინვალიდები სარგებლობენ სათანადო დახმარებით და პენსიის სტაჟისა და კვალიფიკაციის მიხედვით. დამზღვევ კასათა მართვა-გამგეობა იმყოფება თვით მშრომელთა ხელში.

7. საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სოციალური დაზღვევის საქმემ სწრაფი ნაბიჯით წინ წაიწია; განმტკიცდა და სწორ კალაპოტში ჩადგა დამზღვევ კასების მუშაობა, მაგრამ ამ უკანასკნელს კიდევ ბევრი დანაკლისი აქვს, რომლის გამოსწორება ახლო მომავალში აუცილებლად უნდა მოხდეს.

დამზღვევ კასების უახლოესი ამოცანები.

8. სოციალური დაზღვევის საქმის განხორციელების მთავარი სიმძიმე დამყარებულია დაზღვევის გადასახადზე. უკანასკნელ ხანებში წარმოება-დაწესებულებათა დამზღვევ კასებისადმი დავალიანება მეტისმეტად გაიზარდა, რაც ძლიერ აფერხებს დამზღვევ ორგანოთა ნორმალურ მუშაობას და საფრთხეს უქადის მშრომელთა მასების მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს.

ამიტომ, მოკლე ხნის განმავლობაში აუცილებლად უნდა იქნეს გადახდევინებული ძველი ვალები, მხოლოდ მომავალში კი მიღებულ იქნეს ზომები, რათა თავის დროზე და სრულად შემოდიოდეს დამზღვევ კასებში წარმოება - დაწესებულებათაგან კუთვნილი საპროცენტო ანარიცხები, რომელთა რაოდენობა საკმაოდ შემცირებულია ამიერ-კავკ. სახალხო კომისართა საბჭოს ა. | წ. მაისის თვეს გამოცემულ დეკრეტით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა მუშათა ორგანიზაციების დახმარება და დამზღვევ კასათა აპარატის მეტის ინტენსიობით მოქმედება.

9. სოციალური დაზღვევის ერთ-ერთ მთავარ დარგს წარმოადგენს უფასო საექიმო დახმარება. დღევანდლამდე უკანასკნელის აღმოჩენის დროს ბევრ ნაკლულევანებას ჰქონდა ადგილი. დაზღვეულნი და მათი ოჯახის წევრნი ხშირად არ იყვნენ უზრუნველყოფილნი (გარდა რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქებისა) საჭირო წამლობა-ექიმობით. ჯანმრთელობის კომისარიატის ადგილობრივი განყოფილებანი ჯეროვანათ ვერ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას დაზღვეულთა საექიმო დახმარების დარგში ჯანმრთელობის კომისარიატის ადგილობრივ განყოფილებისათვის დამზღვევ კასების მიერ გადაცემული თანხები (ფონდი „დ“) იხარჯებოდა თავის არა პირდაპირ დანიშნულებისათვის. ამიტომ მომავლისათვის მოსპობილ უნდა იქნეს ყველა დამაბრკოლებელი მიზეზები, რისთვისაც საჭიროა: ა) მოეწყოს ჯანმრთელობის კომისარიატთან მუშათა მედიცინის სამმართველო, ხოლო პროვინციაში—დაზღვეულთა სამკურნალო ქვე-განყოფილება, რომელთა ხელმძღვანელნი, პროფკავშირთა საბჭოს მიერ არჩეულნი, პასუხს აგებენ რესპ. სოციალური დაზღვევის სამმართველოს და პროფკავშირთა საბჭოს წინაშე, როგორც დაზღვევის თანხების დახარჯვის, ისე დაზღვეულთათვის წამლობა-ექიმობის საქმის მოწყობაში, ბ) ხსენებულ ორგანოების მუშაობა მჭიდროდ დაკავშირებული იყოს დამზღვევ კასებთან, გ) მტკიცედ განისაზღვროს დამზღვევ ორგანოთა, ჯანმრთელობის კომისარიატის და მისი ადგილობრივ განყოფილებათა შორის დამოკიდებულება, დ) დიდი ყურადღება მიექცეს როგორც დამზღვევ კასის ექიმთა შემადგენლობას, ისე საექიმო-საკონტროლო კომისიას, რომელთა სწორ მუშაობაზე დამოკიდებულია მუშა-მოსამსახურეთა, ჯანმრთელობის და დამზღვევ კასათა ნივთიერ საშუალებათა დაცვა.

10. დამზღვევ კასების უახლოეს ამოცანას შეადგენს შრომის ინვალიდთა და დაზღვეულ უმუშევართათვის არსებულ დახმარების ნორმის გადიდება აღრიცხულ პროდუქტთა ღირებულების 100 პროცენტამდე.

11. სოციალური დაზღვევის კანონების პოპულიარიზაცია, ე. ი. მუშა-მოსამსახურეთა გათვითცნობიერება, მათი დაინტერესება სოცდაზღვევის კითხვებით და დამზღვევ კასების ყოველდღიური მუშაობით.

12. ყველა ეს გარემოება მტკიცედ მოითხოვს დამზღვევ კასებისაგან, პროფკავშირთა ადგილობრივ კომიტეტთა და ყოველი მუშა-მოსამსახურესაგან, რათა ისინი ზედმიწევნით დაინტერესდენ სოცდაზღვევის საქმის განხორციელებით, მჭიდრო, ცოცხალი კავშირი გააბან ურთიერთ შორის და ხელი შეუწყონ ყველა დამაბრკოლებელ მიზეზების მოსპობას.

ეს იქნება უკეთესი და უტყუარი თავდები იმისა, რომ მომავალი მუშაობა სასურველ დონეზე იქნება დაყენებული.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს
პასუხისმგებელი მდივანი
გ. ყურულაშვილი.
შრომის სახალხო კომისარი, იგივე რესპ. სოც. დაზღვევის სამმართველოს უფროსი **ა. მიქაძე.**
სამმართველოს მდივანი **თუშიშვილი.**

ამხანაგების მობილიზაცია

ა. წ. 15 იანვრიდან მთელს საქართველოში რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის სამმართველო საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან ერთად ატარებს სოციალური დაზღვევის პოპულიარიზაციის და დამზღვევ კასების გამგეობათა ხელახალ არჩევნების კომპანიას.

აღნიშნული კომპანიის გასატარებლად პროფკავშირთა საბჭო პროფდისციპლინის წესის მიხედვით, აცხადებს შემდეგ ამხანაგების მობილიზაციას, რომელნიც გადადიან საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მიერ გამოყოფილ სპეციალურ ცენტრალურ კომისიის განკარგულებაში: ალექსანდროვა, ატოევი, არუშანოვი, ბაბაჯანოვი, გეგენავა, გოგიბერიძე, გოლდმანი, გუგუშვილი, ჯუღელი, ისრაილი, დავით კიკნაძე, სერგო კილაძე, კილოსანიძე, კლენიცკი, ყურულაშვილი, ლომაძე, მაშკევიჩი (დამზღვევ კასიდან), მელიკოვი მინას, მიქაძე, მიხაილოვი, ივანე მხიტაროვი, ნახაპეტიანი, ნიკიტინი, ფანცხავა, რცხილაძე ვას., საბაშვილი, სეროპიანი, სიტნიკოვი, ტერ-აკოპოვი, ტოროტაძე, თუშიშვილი, ხუტულაშვილი ჯ., ცომაია, წულეისკირი, შავერდოვა, ელბაქიანი, იაშვილი.

აღნიშნულ ამხანაგების საყურადღებოდ ცხადდება, რომ სამშაბათს, 15 იანვარს, საღამოს 5 საათზე, პროფკავშირთა საბჭოს წითელ დარბაზში შესდგება მობილიზაციის წესით მოწვეული ამხანაგების კრება საინსტრუქტორო მოხსენების მოსასმენათ.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს მდივანი **ყურულაშვილი.**

ხელოვნება

— **„ჩირაღდანი“.** სამშაბათს, 15 იანვარს გამოვა გაზ. „კომუნისტის“ სამხატვრო სალიტერატურო დამატება „ჩირაღდანი“.

— **ი. გრიშაშვილის „ლეილა“.** გამოვიდა ალმანახი „ლეილა“. (№ 3) ი. გრიშაშვილის რედაქტორობით.

— **დავით კლდიაშვილის ნაწერები.** სახ. გამომცემლობა მიმდინარე წელს გამოსცემს დ. კლდიაშვილის ნაწერებს რამდენიმე ტომად.

— **მსახიობ ქალის—ელო ანდრონიკაშვილის საღამო.** კვირას, 20 იანვარს რუსთაველის თეატრში გაიმართება მსახიობ ქალის ელო ანდრონიკაშვილის საღამო.

— **აკაკის ნაწერები.** სახ. გამომცემლობის კოლეგიამ დაადგინა აკაკის ნაწერები გამოსცეს სამ ტომად, პირველი ტომი გამოვა თებერვლის შუა რიცხვებში.

— **ფრიდრიხ ენგელსის და საშა წულუკიძის მარმარილოს ძეგლები.** მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძემ უკვე დაამთავრა ფრიდრიხ ენგელსის და საშა წულუკიძის მარმარილოს ძეგლები. პირველი დაიდგმება ქუთაისში, ხოლო მეორე—ხონში.

— **დახმარება კომპოზიტორ სულხანიშვილის ოჯახს.** განათლების კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა საქ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე, რათა სათანადო დახმარება გაეწიოს სახალხო კომპოზიტორის სულხანიშვილის ოჯახს.

— **კინო-სურათების გადაგზავნა ჰაეროპლანით.** უახლოეს მომავალში ა | კ საავიაციო საზოგადოება დაიწყებს კინო სურათების გადატანას ტფილის ბაქოს შორის.

— **პლასტიკის საღამო.** ორშაბათს 14 იანვარს რუსთაველის თეატრში გაიმართება ტანირ-ბარის პლასტიკის საღამო.

— **ალ. არაბიძის წიგნების გამომცემლობა.** მოქ. ალ. არაბიძემ, რომელიც 25 წლის განმავლობაში წიგნის გამომცემლობას ეწეოდა საქართველოში და პეტროგრადში, სახალხო განათლების კომისარიატის წინაშე შუამდგომლობა აღძრა მისი ფირმის განახლების შესახებ. განათლების კომისარიატმა ეს შუამდგომლობა დადებითი დასკვნით კომისართა საბჭოს წარუდგინა განსახილველად და დასაკმაყოფილებლად ალ. არაბიძეს განზრახული აქვს შექმნას ორი სერია: იაფ-ფასიანი სახალხო საკითხავი წიგნები და აკადემიური ბიბლიოთეკა.

დღეს თეატრებში

— **ოპერა**—„ევგენი ონეგინი“.

— **დრამა**—„გააზნაურებული მდაბიო“.

— **სახალხო სახლი** — ქართული წარმოდგენა

პროვინციაში

მთლიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის გამო

(წერილი ხარაგოულიდან)

იმ სურათების შემდეგ, რომელთაც ადგილი ჰქონდათ დ. ხარაგოულში მთლ. სასოფლო სამეურნეო გადასახადის აკრების დროს, ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ ის ნაკლები, რომელნიც არიან დაკავშირებულნი ამ გადასახადის აკრება გაწერასთან.

წ. | წ. 29 დეკემბერს, გადასახადის ამკრები სამაზრო სამეულის ერთ-ერთი წევრის თანხლებით მივიღეთ მთელი რაიონისათვის დასარიგებლათ საგადასახადო შეწერილობის ბარათები, გადასახადის რაოდენობის აღნიშვნით, რომლის რაოდენობა, რამდენათაც ვიცით, დამყარებულია იმ სამეურნეო აღწერაზე, რომელიც ჩვენში ამ რამოდენიმე თვის წინათ ჩატარდა.

აქ ჩვენ აღარ გამოუდგებით ამ აღწერის დაფასებას, ამაზე თავის დროზე უკვე ითქვა. ვიტყვით მხოლოთ, რომ ის ეჭვები, რომელთაც ადრეც ჰქონდათ ადგილი, დღეს სინამდვილეთ გადაიქცენ.

საგადასახადო სიებში ძალიან ხშირია შემთხვევა, სადაც მცირე მიწის მქონე და სხვა ყოველმხრივად ღარიბეს ოჯახს, რომელსაც არავითარი გადასახადი არ შეიძლება შეეწეროს, იმდენი აქვს „მითავაზებული“, რომ უნებლიეთ გაგაკვირვებთ. სამაგიეროთ, ზოგიერთ უფრო შეძლებულებს ან გაცილებით ნაკლები გადასახადი აქვთ შეწერილი, ან სულ გამოტოვებულნი არიან.

ამის შემდეგ ადვილი ასახსნელია ის უკმაყოფილება, რომელსაც ადგილი აქვს მოქალაქეთა შორის.

მეორე ნაკლი, რომელიც ერთბაშათ აგვირგვინებს მთელ გაუგებრობას—გახლავთ მიმღები კომისია, დანიშნული მაზრის სამეულის მიერ, რომელშიაც შედის მხოლოდ სამი კაცი. საქმე იმაშია, რომ თანახმად სამეულის გადმოცემისა, გადასახადი უნდა აკრებილიყო სამი დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ფუთ სიმინდზე, რვა მილიონის მაგივრად, მოქალაქენი გადაიხდიდენ ბაზრის ფასების კვალობაზე. მიუხედავად ჩვენი ადგილობრივი ძალების მობილიზაციისა, გადამხდელთა თავის დროზე განთავისუფლებას მაინც ვერ ვასწრებდით. ამავე დროს ხალხი თანდათან აწყდებოდა კასას და თანაც იმ ანგარიშით, რომ ფუთზე მას გამოცხადებული და გამოანგარიშებული ჰქონდა რვა მილიონი მანეთი. ხალხი რიგში დგას, კასა მიღებას ვერ ასწრებს, არ გამართლდა არც ისედაც მოკლე სამი დღის ვადა და სწორეთ მესამე დღეს, დილის 10 საათზე სამეული დეპეშით იტყობინება, რომ რვა მილიონის მაგივრათ ფუთ სიმინდზე გამოგვეცხადებია ცამეტი მილიონი. ამის შემდეგ უნებლიეთ იბადება კითხვა: რა დანაშაულია ის მოქალაქე, რომელიც თავისი ხვედრ გადასახადით რიგში დგას, მაგრამ კასა ვერ ასწრებს მიღებას, გადასახადს კი ყოვლის უმიზეზოთ ემატება თითეულ ფუთზე 5 მილიონი. თავის-თავად ცხადია, რომ გლეხი უვალოა ამაში.

ის უფრო კმაყოფილი იქნებოდა, რომ რვა მილიონის მაგივრად გადაეხადა ორჯერ რვა, ან კიდევ მეტიც, ოღონდ შემდეგ კი არავითარ ნაკლებ წამატებას ადგილი არ ჰქონოდა; ამისათვის, მოკლედ, სხვადასხვა გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მომავალში მაინც, საჭიროთ მიგვაჩნია დავსძინოთ შემდეგი:

1. ის სამეურნეო აღწერის ფურცლები, რომელნიც ამ შემთხვევაში თითქმის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენენ, გვერდზე უნდა იქნას გადადებული.

2. თითოეული რაიონისათვის ცალკე უნდა იქნას გამოყოფილი ხვედრი გადასახადის ჯამი და თითოეულ ფუთზე, თუ ეს ფულათ იქნება, გამომუშავებული უნდა იქნას საშუალო ფასი, რომელიც დარჩება უცვლელად გადასახადის აკრების ბოლომდის.

უნდა შესდგეს სათემო და სასოფლო სამეულები, რომლებსაც უხელმძღვანელებს რაი-აღმასკომი და მთელ საგადასახადო კამპანიას ჩაატარებს სრულიად უმტკივნეულოდ ყოველგვარი დეფექტების გარეშე.

დარწმუნებული ვართ, რომ მომავალში მაინც აღარ დამახინჯდება ის დიდი საქმე, რომელიც ჩამოყალიბებულია მთლიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადის სახით.

რაც შეეხება დღევანდელ უმართებულო შეწერას, ჩვენ სასტიკი შერჩევის ქვეშ ვკრებთ შეწერილობის ბარათებს დანიშნულებისამებრ გადასაგზავნათ, ღარიბებისთა განსათავისუფლებლათ და აგრეთვე ზოგიერთთათვის შესამცირებლათ.

დასასრულ არ შეგვიძლია მადლობა არ გამოუცხადოთ ხარაგოულის მოსწავლეთა ერთ ნაწილს, რომლებმაც არ დაიზარეს თავიანთი შრომით დაგვხმარებოდენ.

ხარაგოულის რაიაღმასკომის პრეზიდიუმი.

ძიმითის თემი (გურია)

ხსენებული თემი დაშორებულია სამაზრო და სარაიონო ცენტრებს. ის მდებარეობს ლანჩხუთსა და ოზურგეთის შუა ადგილზე, მდინარე სუფსის მარჯვენა მხარეს. არც ერთი ხეირიანი გზა, რომელზედაც შეიძლებოდეს ეტლით ან ურმით თავისუფლად მიმოსვლა, არ არის. სუფსაზე უხიდობა და ჯუმათის მთის ულელტეხილი უძნელებს მცხოვრებთ რიგიანი კავშირი იქონიონ ოზურგეთთან ან ლანჩხუთთან. ხსენებულ თემში არის 8 წლ. შრომის სკოლა, მასწავლებლების რიცხვი საკმარისია და შემადგენლობაც კარგი. სწავლას მხოლოდ ის უშლის ხელს, რომ სკოლებისათვის საჭირო შენობები არ მოიპოვებიან. გასულ წელს თემის საბჭომ და სათემო კრებამ მიაქცია რა ამას ყურადღება, დაადგინა:—შეძენილ იქნას თემის ხარჯით დიდი შენობა. სააღმშენებლო კომისიამაც, რომელიც არჩეული იყო ამ მიზნისათვის, შეიძინა ხსენებული შენობა, მაგრამ ამით მაინც ვერ იქმნა დაკმაყოფილებული სკოლის განყოფილებები. განვლილ წელს, როცა მთელ გურიას მოედვა ანტირელიგიური პროპაგანდა და დაიხურა ეკლესიები,—ხსენებულ თემში დარჩა ოთხი დიდი ეკლესია, რომლებიდან უნდა გაკეთებულიყო თემის საშუალო ადგილზე სახალხო სახლი სკოლისათვის რამოდენიმე ოთახი და სამკითხველო. თემის საბჭომ და მშრომელმა მასამ აირჩია ამ საქმის მოსაგვარებლად სპეციალური სააღმშენებლო კომისია, რომელშიც შედიან ყველა სოფლების წარმომადგენლები. ხსენებული თემი შესდგება ხუთი სოფლისაგან: ქვედა-ძიმითი, ზედა-ძიმითი, საცავა, კონჭკათი და მამათი. დიდი ხანია კუთხეებს შორის არსებობს უთანხმოება თემის საშუალო ადგილის გამონახვაზე. მენშევიკების დროს, როგორც იქნა, გამონახეს კუთხეების წარმომადგენლებმა საშუალო ადგილი თემის და იქ მშრომელ ხალხს შემოალობიეს რამოდენიმე დესეტინა მიწა მომავალი ბაღისათვის. საბჭომ და ჩვენი პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციამაც იქ თემის ამ საშუალო ადგილზედ გადასწყვიტა საეკლესიო შენობების მასალიდან დიდი სახალხო სახლის აგება. სააღმშენებლო კომისიაც შეუდგა ენერგიულ მუშაობას, მოაწყვეს ადგილზედ კირის საწვავი ქარხანა, თავი მოუყარეს ყველა ეკლესიების მასალას, საჭირო ქვებს და ოსტატები დააყენეს შენობის ასაგებად, მაგრამ ამ უკანასკნელად ზოგიერთმა პირებმა ქვედა და ზედა ძიმითიდან, გაიგეს რა თემების რაიონებად გადაჯგუფება, გაავრცელეს ხმა ხალხში, ვითომ თემები კულტურულადაც უქმდებოდეს და აღძრეს ხალხში სურვილი თემის გაყოფისა, ხსენებული ორი კუთხის ჩამოშორებით და ნაგომარზე მიწერით. ეს იმიტომ, რომ თემის ცენტრი, რომელიც ამორჩეულია კომისიის მიერ, გადაიტანონ თავიანთ კუთხეში.

ასეთმა უთანხმოებამ გამოიწვია სამაზრო მთავრობის შეწუხება, რომელიც მუდამ დიდ ყურადღებას აქცევს თემებში თუგინდ უბრალო ინციდენტს და გაგზავნა იქ (ძიმითში) თავისი რწმუნებული ამხ. მიხაკო მკურნალის სახით, რომელიც დაწვრილებით გაეცნო თემის მდებარეობას და ცენტრი დაამტკიცა იქ, სადაც ეს უწინ მიღებული იყო, რის შემდეგაც სააღმშენებლო კომისიამ გააგრძელა თავის მუშაობა. დღეს ხსენებული ორი კუთხის (ქვედა და ზედა ძიმითი) ზოგიერთი ელემენტები ისევ განაგრძნობენ წყლის მღვრევას და საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე დაუდგენიათ თემის ცენტრის გაუქმება და მისი ზედა ძიმითში გადატანა. ცხადია ასეთი ხელის შეშლას კულტურულ საქმისათვის, უფრო ადრე ყურადღება უნდა მიექცია ნაგომრის რაიკომს, მაგრამ ეს ასე არ ხდება. დღეს ეკლესიების მასალა იქ თანდათან იკარგება, შენობა დაწყებულია და კედლებიც აყვანილი, და ამ დროს მუშაობა შეჩერებულია. საჭიროა, რომ ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღოს თემში ასეთ მდგომარეობას.

საჭიროა სამაზრო ხელისუფლებამ მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ საქმეს და ბოლო მოუღოს ხალხში გამოწვეულ უთანხმოებას.

აქაური.

მუშათა ცხოვრება

შრომის ხელფასის მინიმუმი

ამ დღეებში შრ. სახ. კომისარიატმა დაუგზავნა ცირკულიარი № 4 ყველა თავის რწმუნებულებს, შრომის განყოფილებებს და შრომის ინსპექციებს შემდეგი შინაარსის, რომ ყველა სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფ სახალხო კომისარიატებისათვის დ დაწესებულებებისათვის, გარდა განათლების და ჯანმრთელობის კომისარიატებისა, შრომის ხელფასის მინიმუმად მიღებულია 5 მან. 20 კ. (ჩერვ. მანეთი), ხოლო შეფარდება სატარიფო ცხრილი დაწესებულია 1:5 1-ლ ნოემბრიდან 1923 წ.

განათლების სახ. კომისარიატისათვის მინიმუმია 6 მან. ჩერვ. 1:5 შეფარდებისა.

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატისათვის მინიმუმია 5 მან. 20 კ. (ჩ. მ.) 1:8 შეფარდებით ამ ორ უკანასკნელ სახალხო კომისარიატისათვის დაწესებულია 1923 წ. 1-ლ დეკემბრიდან.

პასუხისმგებელ მომუშავეთათვის 1923 წ. 1-ლ დეკემბრიდან მინიმუმად პირველ ხარისხისა ითვლება 15 მან. 80 კ. (ჩ. მ.) 1:5 შეფარდებით და დამატებით ჯილდოს მიმატებით.

შრომის ხელფასი მიეცემა ჩერვონეცის დღის კურსის მიხედვით.

გადასვლა საქონლის მანეთის ჩერვონეცის მანეთზე შემდეგნაირია:

ტეხნიკურ მომუშავეთათვის სახელმწიფო დაწესებულ. და ყველა დარგი სპეცებისათვის (სპეცი იქნება სახელმწიფო მომარაგებაზე თუ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დაწესებულებებში) ერთი საქონლის მანეთი უდრის 1 მან. 30 კ. ჩერვ. პასუხისმგებელთათვის 1 საქ. მანეთი—1 მ. 53 კ ჩერვ. ყველა მინიმუმები აღებულია 100 პროცენტი ზოლის მიხედვით. ასე რომ 1 და 2 ზოლი დაცულია.

შინაური.

შეფობა სოფ. მარტყოფზე.

კომკავშირის საშობაო დღესასწაული სახელმწიფო ქაღალდების ექსპედიციის საშეფო კომისიამ თავისებურად ჩაატარა. ამ დღეს საშეფო კომისია გაემგზავრა შეფობის ქვეშ აღებულ სოფელ მარტყოფში. მისვლისთანავე შესდგა ადგილობრივი გლეხთა მიტინგი. მიტინგზე გამოსულ ამხანაგებმა გააშუქეს შეფობის მნიშვნელობის საკითხი. ქალთა განყოფილების წარმომადგენელმა გააცნო გლეხებს ქალთა საკითხის საფუძვლები და სხვა. დასასრულ სოფლის სამკითხველოს გადაეცა შეფის მიერ მიტანილი რვეული და ფანქრები და დაბრუნდა უკან. მარტო კულტურული მზრუნველობით არ განისაზღვრება შეფის მუშაობა. გადადებულია 30 ჩერ მანეთი მიეცეს სოფელს სესხად საფეიქრო მასალის შესაძენად. გარდა ამისა მიღებულია ზომები ამ ორ კვირაში სოფელში წისქვილისთვის დაიდგას ექვს ძალიანი მოტორი, რომლის შეკეთება დიდი ფული დაუჯდა შეფს.

მუშა დობორჯგინიძე.

უყურადღებოდ მიტოვებული ადგილი

(ალმასკომის სანიტკომისიის საყურადღებოდ).

ჩერქეზოვის ქუჩის გადასავალი რკინისგზის ლიანდაგის ხიდთან დაყენებულია დარაჯი, რომელიც არ უშვებს უცხო ხალხს სადგურის რაიონში, რის გამო დაცულია სისუფთავე. მაგრამ როცა ამ ხიდს გამოსცდება ადამიანი მაშინვე წააწყდება საშინელ უსუფთაობას და ჭუჭყს საქმე იმაშია, რომ ზემო აღნიშნული ხიდის შემდეგ იწყება ლიანდაგის სამხრეთის მხრიდან ჩაღრმავებული ხრამი ლიანდაგსა და სახლებს შუა, რომელიც თავდება მაზუთის შესახვევთან. ეს მიდამო მიტოვებულია უყურადღებოდ და მახლობელ მცხოვრებთ კი გადაუქცევიათ იგი თავიანთ სანაგვეთ, რომელიც სავსეა ათასგვარ სიბინძურით. საჭიროა სანიტარულმა კომისიამ შეიხედოს ამ მხარეში და მცხოვრებთ ააცილოს მოსალოდნელი საფრთხენი.

მუშკორი **მიუდგომელი**

საჭიროა წყლის დაზოგვა

(ქალ. წყალსადენის საყურადღებოდ).

ტფილისის ალმასკომს მუშათა განაპირა უბნებში მოწყობილი აქვს რამოდენიმე უფასო წყალსადენის კრანები, რომელიც დიდს შეღავათს აძლევს იქაურ არა მცირე მუშებს, არამედ იქ მცხოვრებ ყველა ღარიბ მოქალაქეთ. მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთ უბნის მცხოვრებთ ვერ შეუთვისებიათ ამ წყლით ისარგებლონ ყაირათიანათ. მე ვლაპარაკობ ნავთლუღის კრანებზედ ხოშტარიას ყოფ. საპნის ქარხნის ბოლოზე. აქ არსებობს ერთი წყალსადენი, რომელსაც გაფუჭებული ჰქონდა კრანი და აუარებელი წყალი იღვრებოდა და იკარგებოდა უბრალოდ. იმ დროს, როდესაც წყლის საკითხი მწვავეთ სდგას მუშებში, განსაკუთრებით კი უმუშევართა შორის, ასეთ ადგილებს, ყურადღებას არავინ აქცევს. ამ კრანების ახლო ადგილები მოგაგონებთ ქაოსებს. სამწუხაროდ, ზოგიერთს ვერ წარმოუდგენია ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ წყალი ფული ღირს. მიუხედავად ამისა ქალაქის ალმასკომი მაინც წყალს უფასოდ უთმობს ამ უბნებს. საჭიროა მომჭირნეობა და ყაირათი მცხოვრებლების მიერ, თორემ ვინც ვერ მოიხმარს ამ პატივისცემას, მას ჩქარა მოესპობა ეს მზრუნველობა.

მუშკორი მკერვალი ნიკო.

1-ლ საბჭოთა სტამბაში

ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად იბეჭდება წერილები ლოთობის წინააღმდეგ, რომელმაც თითქმის ფართე საგიტაო ხასიათიც კი მიიღო, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ბევრ ქარხნის მუშების ყურამდის არ მიუღწევია ამ გულთბილ რჩევა-დარიგებას და ზოგიერთი შეუგნებელი მუშები დღესაც არ იშლიან ამ საზიზღარ ჩვეულებებს დ ძველებურად—მამაპაპურად განაგრძობენ სისტემატიურ ლოთობას. ერთი ასეთი პირთაგანი არის 1-ლ საბჭოთა სტამბის ღამის მუშაობის მეთვალყურე, ძველი ასოთ-ამწყობი კოლა დუჩიძე.

მასზედ არ მოქმედობს რჩევა-დარიგება და კეთილი სიტყვა. იშვიათად ნახავს კაცი მას ფხიზელს; სამუშაოზე ხშირად მთვრალი ცხადდება, ასეთ პირობებში მათთან მუშაობა შეუძლებელი ხდება, იწვევს აყალმაყალს და ლანძღვა-გინებას. იანვრის 8-ში, ამავე მიზეზით სრულიად უმიზეზოდ უშვერი პირით გალანძღა მან ერთი აქაური შრომის მოყვარე და პატიოსანი მუშა, რომელსაც მარტო ლანძღვა-გინება არ აკმარა და მისკენ საცემლადაც იწევდა. ასეთი პიროვნება ჩვენ საერთო საქმეს მხოლოდ ხელს უშლის. ხშირია შემთხვევები, როდესაც დილით სტამბის გაღებაც უგვიანდება და მთელ ნახევარ საათზე მეტი ასზე მეტ მუშახელს აცდენს. საჭიროა ამ შეუგნებული მუშას მიეცეს ადგილკომის მიერ გაფრთხილება და დროზე ლაგამი ამოდოს უგუნურობას ერთხელ და სამუდამოდ გამოსწორდეს. ის პოლიგრაფიულმა განყოფილებამაც უნდა მიაქციოს ყურადღება და ამის ადგილს უფრო კეთილსინიდისიერი მუშაკი გამოგზავნოს აქ. ამ სტამბაში ხშირია შემთხვევა სახალხო ქონების მოპარვისაც, როგორც მაგალითად ფარდების, რომელ მოვლენასაც, აქ ხშირად აქვს ადგილი, მისი უთვალყუროების გამო. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება.

სტამბის მუშა ქ.

შრომის ბირჟაში პირველად განვიცადე საშინელი უიმედობის წუთები.

როგორც უმუშევარი, ნახევრად შიშველ-ტიტველ, მშიერ მწყურვალი, საწყალ მათხოვარივით ერთ უბედურ დღეს მეც პირველად ვესტუმრე შრომის ბირჟას და როგორც ამას მოითხოვდა ბირჟის „წესრიგი და ტრადიცია“, დავდექ რიგში სხვებთან ერთად. ჩემს გვერდზე მდგომი მოქალაქეები ერთმანეთს შესჩიოდნენ, რომ ზოგი მათგანი თითქმის ერთი წელიწადია, რაც ბირჟაში ჩაეწერა, მაგრამ სამუშაოზე დღემდის არ გაუგზავნიათ და დღესაც არ იცის, გაგზავნიან სადმე თუ არა; სხვები ამბობდნენ, რომ ისინი უკვე 8, 6 თვეა სამსახურს ელოდებიან და სხვა.

ყოველივე ამის გაგონებაზე მე ელდა მეცა, დავდექი და ვიფიქრე—რაშია საქმე?! ნუ თუ ეს მართალია მეთქი. ბოლოს და ბოლოს მეც დავრწმუნდი, რომ ეს ყველაფერი სრული ჭეშმარიტება იყო. როგორც იქნა შესრულდა 10 საათი და გაიღო ერთი პატარა ფანჯარა პირველ სექციისა, სადაც მე მქონდა საქმე. დღის 12 საათზე მოდგა ჩემზე რიგი, მე ვკითხე: შემიძლია თუ არა ჩავეწერო შრომის ბირჟაში მეთქი; ფანჯრიდან მიპასუხეს: „შეიძლება მხოლოდ ერთი თვის შემდეგო“. ამის შემდეგ მივანებე თავი და გამოვედი ქუჩაზედ. ვიცადე ერთი თვე. ამ ერთი თვის განმავლობაში ისეთი კრიტიკული მდგომარეობა განვიცადე, როგორსაც არ განვიცდიდი ტუსაღობის დროსაც.

მოვიდა დანიშნული დღე თუ არა და გავექანე დილით ადრე 5 საათზე შრომის ბირჟისაკენ მივედი ბირჟაში. ხალხი აქ უკვე ბლომად იდგა და უსაქმობის გამო ბუზებივით ზუზუნი გაჰქონდა. ვიდექი 4 საათი, როგორც იქნა მეღირსა და მივადექ იმ „საშინელ“ ფანჯარას... ძნელია იმ სურათის აღწერა, რაც მოხდა აქ რიგში დგომის დროს. ამოვიღე მოწმობა და უთხარი: თქვენ დამიბარეთ დღეისთვის, მოვედი და გთხოვთ ჩამწეროთ მეთქი. იქიდან მიპასუხეს: „ჩაწერა შეწყვეტილია. კიდევ ერთ თვეს გასტანს და ერთ თვის შემდეგ მობრძანდით“-ო, დავემორჩილე იმათ პასუხს გამოვედი და წაველი ქუჩაქუჩასახეტიალოდ აი ასე ამრიგად კიდევ რამოდენიმე თვე უნდა ვიხეტიალო მანამდე სანამ არ ამომძრება სული.

გართ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

1923 წ. დეკემბრის 24.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოწოდებულ იქნეს სავალდებულო მეცადინეობისათვის ყველა ის წერა-კითხვის უცოდინარი პირი, რომელიც ჯერ კიდევ ჯარში გასაწვევი არ არის, სამშობლო ენაზე წერა-კითხვის შესასწავლად—ჯარში გაწვევამდე შემოღებული სამხედრო მომზადების ხნის განმავლობაში.

შენიშვნა: მან, ვინც 1902 წ. არის დაბადებული და ჯარში არ არის გაწვეული, აგრეთვე 1901 წ. დაბადებულმა, უნდა შეისწავლოს წერა-კითხვა არა უგვიანეს 1924 წ. აგვისტოს 1-სა.

2. ხარჯის ის ნაწილი, რაც საჭირო იქნება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის მათ შორის, ვინც ჯერ კიდევ ჯარში გასაწვევი არ არის და მოუნდება სასკოლო სადგომების დათმობასა და გათბობის, გაწეულ უნდა იქნეს ადგილობრივი სახსარიდან. სადგომების მოწყობა, განათება, მასწავლებელთა შედგენილობის შენახვა, საწერი საგნებისა და სასწავლო სახელმძღვანელოებისა, აგრეთვე სხვა სამეურნეო ხარჯი დაედვას სახელმწიფო ბიუჯეტს ამიერ-კავკასიის სათანადო რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატთა აღრიცხვებით.

3. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ უნდა გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
თალიბლი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება 15 იანვარს, როზა ლიუქსემბურგის და კარლ ლიბკნეხტის დაღუპვიდან 5 წლის თავზე მუშათა კლუბებში მოხსენებების გასაკეთებლად იწვევს ამხ—ბს: ელიავას, გოგობერიძეს, რუბენს, ტაკოევს, მარია ორახელაშვილს, ვარძიელს, ერქომაიშვილს, ელისაბედაშვილს ა. ესსენს, ხანოიანს, ნოე ლეჟავას.

— ქალაქის რაიკომის ქალთა განყოფილება იტყობინებს, რომ ორშაბათს, 14 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის რაიკომის შენობაში შესდგება ქალაქის რაიკომის ქალთა ორგანიზატორების თათბირი.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა,
რაიკომის ქალთა განყოფილების გამგე პენიაკოვა.

— დღეს, 13 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ტფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის ფიზიკურ აუდიტორიაში ამხ. ტატიევი სახელმწ. პოლიტეხ. ინსტიტუტის სტუდენტებისა და საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების წევრთათვის წაიკითხავს პირველ ლექციას შემდეგ თემაზე:

„ავიაცია და საავიაციო მრეწველობა“.

ლექციები წაკითხულ იქნება ყოველ კვირაობით, საღამოს 6 საათზე.
საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების ტფილისის ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარე მ. ესსენი.

— **საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო—საპროპაგანდო განყოფილება** იტყობინება, რომ ორშაბათს, 14 იანვარს საღამოს 7 საათზე ცენტრალური პარტიული კლუბის შენობაში შესდგება ტფილისის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების **კოლეგიის** თათბირი.

დღის წესრიგი: 1. პოლიტიკური განათლების განყოფილების მოხსენება. 2. პოლიტიკური სეკრეტარიატის მოხსენება. 3. დივიზიის პოლიტიკური განყოფილების მოხსენება 4. პარტიული კლუბის მუშაობის შესახებ. 5. მიმდინარე საქმეები. მოწვეულნი არიან: რაიკომების სააგიტ.-საპროპ. განყოფილებათა გამგეები, პოლიტიკური განათლების განყოფილების გამგე, ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე, საქართველოს პოლიტიკურ სეკრეტარიატის და დივიზიის პოლიტიკურ განყოფილებათა წარმომადგენლები.

ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების
გამგე: მ. ესსენი.

— კომისია, რომელსაც დავალებული აქვს დასავლეთის ნაციონალურ უმცირესობათა კლუბის მოწყობა, იწვევს დღეს, 13 იანვარს, საღამოს 7 საათზე, (ნიკოლოზის ქ № 59) ეროვნულ უმცირესობათა (პოლონელები, გერმანელები, ლატიშები, ჩეხო-სლოვაკები, უნგრელები) კრებას. დასავლეთის ეროვნულ უმცირესობათა ინტერნაციონალური კლუბის მოსაწყობათ. დღის წესრიგი:

1. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ
2. წესდების დამტკიცება.
3. დროებითი გამგეობის არჩევა.

კრების შემდეგ—კონცერტი.

საორგანიზაციო კომისია.

პროფესიული.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა კრება.

— დღეს, დღეს, 13 იანვარს, დღის 12 საათ., ყოფილ კამერულ თეატრის შენობაში (აბას აბასის მოედანი № 7 დანიშნულია

ბეჭდვითი მუშაკთა საერთო კრება.

სამხედკორების, მუშკორების და ქ. ტფილისის ყველა გაზეთების თანამშრომელთა მონაწილეობით.

დღის წესრიგი:

1. ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება: არალეგალური პრესა საქართველოში.
2. საორგანიზაციო საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მუშკორთა კლუბის „მუშათა პრესა“-ს დაარსებასთან.

ბ. მ. ს. ბიურო,

განცხადებანი

მარიამი, ნინო, დათიკო და ვანო წულუკიძეები აცნობებენ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ დღეს 13 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათი საყვარელი ბიძაშვილის

მარგარიტა პლატონ წულუკიძის ასული ჩაჩავასი

ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. კრ. 1—1

იოსებ სვიმონის ძე გომართელი ცოლ-შვილით, ელენე სვიმონის ასული მესხისა, ოლღა სვიმონის ასული სვანიშვილის და აკაკი ივანეს ძე სვანიშვილი ამით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 13 იანვარს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, შუადღის 12 საათზედ გადახდილი იქნება პანაშვიდი ძვირფასი და საყვარელი მამის

სვიმონ საბინოს ძე გომართელის

სულის მოსახსენებლად. 382 1—1

ღრმათ დამწუხრებული მშობლები, დედა ნატალია, მამა სიმონი, ძმა სოკრატი, დაიკო თამარა და ძმის ცოლი ლიდა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 10 იანვარს, საღ. 6 საათზე. ქართულ ლეგიონის მესანგრე ასეულის წითელარმიელი.

ლადო სიმონის ძე ბაბლიძე

გამოსვენება მოხდება კვირას, 13 იანვარს, დილის 10 საათზე, თეატრალურ შესახ. № 4 სადგურზე წასასვენებლათ, ცხედრის დაკრძალვა მოხდება ქალ. ხაშურში. 384 1—1

სახელმწიფო ოპერა
1924 წელი

დღეს, 13 იანვარს

ევგენი ონეგინი

ნის. 838—3—1

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი
ამით **გაუქმებულად აცხადებს**

პირადი და ა. [illegible] ქ. ფედერაციის რკინისგზებზე უფასოთ სამგზავრებელ მოწმობებს, გაცემულს ყრილობის სრულიად საქართ. ცაკის წევრებზე 1922-23 წელს. ცაკი წინადადებას აძლევს ყველა ცაკის ყოფილ წევრთ დააბრუნონ უკან ცაკის ნიშნები.

—3—2

საქ. ცაკის მდივანი **ხაბაშვილი**

„ხლებოპროდტორგი“

მ. გ. ერმოლენკოს ვაჭრობა პურის პროდუქტებით

თავისუფლების მოედანი, ყოფ. თამაშევების ქარვასლა. ტელ. № 18—04.
ფქვილი ყუბანის და დონის.
მაკარონი ვერმიშელი ყოფ. ჩურილინის.
ბურღული მუხუდოს.
საცხრილმანო ლაბაზები:
დესიმონოვის ქ. № 3, ტელეფ. № 16—00, მოლოკანების ქ. № 16.
ნის. 843 1—1

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-კვირეულ სასოფლო მეურნეობის და კოოპერატიულ ჟურნალ

„მიწის მუშა“-ზე

ჟურნალი გამოდის კვირაში ერთხელ და ღირს თვეში
20 კაპ. ჩერვ. ცალკე ნომერი 6 კაპ. ჩერვ.
კანტორის და რედაქციის მისამართი: **ტფილისი რუსთაველის პრ.** № 24 ტელ. 10 49 უფ 3—2

თამბაქოს ტრესტის
1-ლი სახელმწიფო სამუყაო (კარდონის)

ქარხანა „ინტერნაციონალი“

იღებს ყოველგვარ შეკვეთებს, ყოველნაირი მუყაოს (კარდონის) ნაკეთებზე, სახელდობრ კოლოფებზე: პაპიროსისა და თამბაქოსი, საკონდიტროსი; (მშვიდობიანობის დროის ნიმუშებით), არშიანი თეთრი ქაღალდით, შიგნიდან ამოწებებული, სანამცხროებისათვის (დასაკეცი, მანქანით შემუშავებული), სააფთიაქო, საპარფიუმერიო, საგალანტერიო, საფეხსაცმელო და სხვა.

მუშაობა სრულდება წესიერათ, წმინდათ და კოხტად. შეკვეთები მიიღება ქარხნის კანტორაში.

კამოს ქ. (ყოფ. დიდიმთავრის) № 28 დილის 7 ნახ. საათიდან 4 საათამდე. ტელეფონი № 13-37. იქვე იძლევიან ყოველგვარ ცნობებს.

842—3—2 **ადმინისტრაცია**

ამიერ-კავკასიის რკინის გზების

ქალაქის სადგური

და კომერციული სააგენტო ტფილისში

1924 წ. 6 იანვრიდან

გადადის **ახალ ბინაზე განოვის ქ. № 8.**

სწარმოებს ოპერაციები ყველა მატარებლებზე ბილეთების გასასყიდათ; ბილეთები გაიცემა წერილობით ან ტელეფონით დაკვეთით, და გაიგზავნება შინ შიკრიკის ხელით.

მგზავრები, რომლებსაც სურთ მიიღონ ბილეთები პლაცკარტით ან უპლაცკარტოთ შინ მიტანით, ატყობინებენ ქალაქის სადგურს თავიანთ შიკრიკის საშუალებით ან ტელეფონით № 9—74 გამგზავრების დროს და დანიშნულების სადგურს.

ბილეთები გაეგზავნებათ ქალაქის სადგურის შიკრიკის ხელით დანიშნულ დროზე.

ბილეთებს შინ მიტანისათვის დაწესებულია შემდეგი გადასახადი:

ადგილობრივ მგზავრობის ბილეთებისათვის—50 კ. ჩერვ.
პირდაპირი მგზავრობის „ — 1 მან. ჩერვ.

შიკრიკს არ აქვს უფლება აიღოს რაიმე საჩუქარი, გარდა ანგარიშში აღნიშნულ თანხისა, რომელი ანგარიშიც გაიგზავნება ბილეთებთან ერთად.

კომერციული სააგენტო აწარმოებს შემდეგ ოპერაციებს:

1. საფრახტო და საკომერციო სესხის გაცემა.
2. კლიენტების მინდობილობით საქონლის ყიდვა და გაყიდვა.
3. საბარგო ავტომობილებით ტვირთების გადატანა რკ. გზ. სადგურზე და უკან.
4. ბარგის და ტვირთების გაგზავნა და გაცემა ფრახტის შეტანის ვადის გაგრძელებით ან საფრახტო კრედიტის გაცემით.
5. საბაჟო ფორმალობათა შესრულება (ბაჟის გადახდა, გასინჯვა და სხვ.).
6 მინდობილობით **სპარსეთში** ტვირთების გაგზავნა ბაქოსა და ბათომის ნავთსადგურებიდან.
7. მინდობილობით ტვირთების **ოსმალეთში** და **ევროპაში** გაგზავნა ბათომის ნავთსადგურიდან.
8 ოპერაციები ზედდართული გადასახადებით სწარმოებს ინკასსო კლიენტის მინდობილობით.

ქალაქის სადგურები და კომერციული სააგენტოები არსებობენ: **ქ. მოსკოვში, ბათომში, ბაქოში, განჯაში, ერევანში, თელავში და ტფილისში.**

ნის. 821—3—2

ამინდი ამიერკავკასიაში

11 იანვარი, დილის 7 საათი.

ტემპერატურა (ცელსიით):

ფოთში... 6 გრ., ბათომში... 6 გრ., სამტრედიაში... 5 გრად., ქუთაისში... 6 გრ, ახალქალაქში... 6 გრ., ქართლში... 4 გრ., მუხრანში... 0 გრ., ბორჯომში...1 გრ., სურამში...0 გრ., ტფილისში... 4 გრ., ერევანში... 1 გრ., ბაქოში...8 გრ., წიფიდან, მუკუზანიდან—ველისციხიდან ცნობები ჯერ არ არის).

ღრუბლიანობა: ყოველგან სრული.

ქარის ქროლა: ფოთში—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ნელი; ახალქალაქში—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, ნელი; ბაქოში—ჩრდილოეთ-დასავლეთის, ნელი დანარჩენ ადგილებში ნელი ან სულ არ ქრის.

ნალექი: ნელი წვიმა დღით ბაქოში.

ზღვის მღელვარება ნაპირებთან ფოთში, ბათომში—წყნარი, ბაქოში—მცირე ღელვა, ლენქორანში ზომიერი.

ამინდი [illegible]. [illegible] ღრუბლიანობა, სი[illegible] [illegible] ქარი არ ქრის, აღმოსავლეთ-საქართველოში ალაგ-ალაგ [illegible] ნავს.

ჩრდილოეთ კავკასია.

10 იანვარი, დილის 7 საათი.

კავკაზი. ტემპერატურა:—3 გრ. მოღრუბლულია, ქარი არ ქრის.

კიზლიარი. ტემპერატურა: 5 გრ. მოღრუბლულია, ქრის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ნელი ქარი.

ტფილისი

12 იანვარი, დღის 1 საათი.

ტემპერატურა: 6 გრ., მოღრუბლულია, ქრის სამხრეთ აღმოსავლეთის ნელი ქარი.

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ვ. ვ. მეგრაბიანცისა

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობისა

რენტგენის ელექტრო-სხივებით და სინათლით ექიმობა ყოველდღე 9—1 ს. და 6—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა № 23.
ღარიბებს უფასოთ. 25—

ექიმი

კ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებ[illegible] ლობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზ[illegible] სამმართველოს მახლობლად. 308—25—

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

[illegible]

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

[illegible] და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელთაც ფიზიკურ [illegible] მკურნალობა ესაჭიროებათ.

სამკურნალო [illegible] **ექ. სვიმონ ჰიფშიძის** [illegible]

[illegible] ტფილისი, [illegible] ქ. № 20 (126—25—1

სახლი

თავისუფალი ბინებით საჩქაროთ და იაფად იყიდება, ვისაც სურს იყიდოს და გაყიდოს, უნდა მიმართოს მამა-დავითის ქუჩაზე № 3, ბინა [illegible] დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. 388 1—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 512 1909 წლის და პირადობის მოწმობა შავარში ივანეს ძე მელიქ-ნუბაროვის ს[illegible] ხელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 389 1—1

დაიკარგა ტფილ. სახელმწ. უნივერს. სოც. ფაკ. ეკონომიური დარგის სალექციო წიგნაკი. გთხოვთ გაუქმებულად ჩაითვალოს. ქსენია სასანია. 383 1—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 1728 1920 წ. მე გიორგი თე[illegible] დორეს ძე მანჯგალაძე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 386 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა სტეფანე ნემსწვერიძეს სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 385 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა გაცემული გრიგოლ ერმილეს გოგოტიშვილის სახელზედ. ჩაითვალოს გაუქმებულად. უფ. 1—1

დაიკარგა საბჭოთა დაწესებულების კავშირის წიგნაკი მოცემული ქუთაისის საბჭოთა დაწესებულების კავშირიდან № 64 და მეორე დამზღვევ კასის წიგნაკი, ორთავენი იქნეს გამოცხადებული გაუქმებულად. ნინო ესაიაშვილი. 1—1

მიიღება 1924 წლისათვის ხელისმოწერა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და ტფილისის კომიტეტის და სრ. საქართვ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მატროსთა საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოზე,

— ყოველდღიურ დიდ პოლიტიკურ გაზეთ —

-„კომუნისტზე“-

ხელისმომწერლებს, რომლებიც შემოიტანენ ხვედრ ფულს წინდაწინვე, დაურიგდებათ შემდეგი

პრემიები:

1) გაზ. „კომუნისტი“-ს ორკვირეული ლიტერატურული დამატება „ჩირალდანი“;
2) ალ. წულუკიძე—ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან;
3) ი. ჯუღაშვილი-სტალინი—წერილების კრებული ნაციონალური საკითხის შესახებ;
4) ნ. ლენინი—კარლ მარქსი;
5) ვ. ლიბკნეხტი—მოგონებანი მარქსის შესახებ;
6) ი. სტეპანოვი—ფიქრები რელიგიის შესახებ.

პრემიები იქნებიან შემდეგნაირათ განაწილებული:

ყველა ხელის მომწერლები მიიღებენ უფასოთ „ჩირალდანს“

გარდა ამისა

სამ თვის ხელის მომწერლები მიიღებენ უფასოთ შემდეგ წიგნებს:
1. ნ. ლენინი—კარლ მარქსი;
2. ალ. წულუკიძე—ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან.

ექვსი თვის ხელის მომწერლები მიიღებენ უფასოთ შემდეგ წიგნებს:
1. ი. ჯუღაშვილი-სტალინი—წერილების კრებული ნაციონალური საკითხის შესახებ;
2. ვ ლიბკნეხტი—მოგონებანი მარქსის შესახებ;
3. ი. სტეპანოვი—ფიქრები რელიგიის შესახებ.

გაზეთი ღირს:

1 თვით 1 მან. და 50 კაპ. ჩერვონეცით
2 „ 3 მან. — —
3 „ 4 მან. და 50 კაპ. —
4 თვით 6 მან. ჩერვონეცით
5 „ 7 მან. და 50 კაპ. ჩერვონეცით.
6 „ 8 მან. და 50 „ „

კოლექტიური ხელის მოწერა: მუშებისათვის, მოსამსახურეთათვის და წითელარმიელებისათვის ეღირება 20 პროცენტით ნაკლები.

ტფილისის გარეთ მცხოვრებ ხელის მომწერლებმა უნდა შემოიტანონ ხელის მოწერის ფასი ათი კაპეიკის დამატებით თვიურად, გაზეთის გადასაგზავნი ხარჯების დასაფარავად.

20—8

ეროვნული ბიბლიოთეკა